პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 58 (18600) პარასკევი, 11 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

რედაქციის პარტიული ორგანიზაცია

ემოქმედებითი აღმავლობით შრომობენ საბჭოთა ჟურნალისტები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. წარმოების ეფექტიანობის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის, სახელმწიფო, პარტიული დისციპლინის განმტკიცების საკითხებს ახლა თვალსაჩინო ადგილი უკავია გაზეთის ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში. პრესა ხელს უწყობს შრომითს კოლექტივებში მომთხოვნელობის, გერგილიანობის, ორგანიზებულობის ვითარების დამკვიდრებას. გაიზარდა სამეურნეო მექანიზმისა და მართვის სრულყოფის გზების, ხელმძღვანელობის ლენინური სტილის დაუფლების შესახებ დიდი პრინციპული გამოსვლების რიცხვი.

ეს შესამჩნევი ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნის ჟურნალისტები, მშრომელები ცხოველად გამოეხმაურნენ პლენუმის გადაწყვეტილებებს, უეჭველია, მხოლოდ დასაწყისი, ათელის წერტილია პრესის ორგანოების იმ ხანგრძლივ და მრავალპლანიან მუშაობაში, რომელსაც ეწევიან ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანათა გადასაწყვეტად, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესასრულებლად გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო ბრძოლის გაშუქებისათვის. ცენტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი გამოცემების რედაქციებმა უნდა გადაწყვიტონ კიდევ უფრო რთული შემოქმედებითი ამოცანები, ბეჯითად იღვაწონ ბეჭდვითი სიტყვის ქმედითობის ამაღლებისათვის. ამაში დამრაზმველ ძალად უნდა გვევლინებოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები — სარედაქციო კოლექტივების პოლიტიკური ბირთვი.

მეტად ფართოა პარტორგანიზაციების ის შესაძლებლობანი, რომ გავლენას ახდენდნენ გაზეთებისა და ჟურნალების პუბლიკაციების, რადიო და ტელეგადაცემების ხარისხზე, მთლიანად შემოქმედებითი კოლექტივის ცხოვრებაზე. უნდა შეგვეძლოს ვიყენებდეთ მათ, კომუნისტების მეცადინეობას ვახმარდეთ ძირითადს, განმსაზღვრელს. საბჭოთა ჟურნალისტიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები სახეობა, პარტიული მუშაობის განუყოფელი ნაწილია. პრესის დახმარებით, პრესის მეშვეობით პარტია საერთო-სახელმწიფო საქმეებსა და საზრუნავს აზიარებს მშრომელთა სულ ახალ-ახალ ფენებს, ავითარებს მათ ინიციატივას, შემოქმედებას. ამიტომ რედაქციათა პარტორგანიზაციების მთავარი ამოცანაა ჩაუნერგონ ჟურნალისტთა კადრებს პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, იდეურად გამოაწრთონ პრესის მუშაკები.

სარედაქციო ცხოვრების ყველა პრობლემა კომუნისტების მუდმივ ყურადღებას მოითხოვს, მაგალითად, ზოგიერთ გამოცემაში დღემდე არ აღმოფხვრილა კამპანიური მიდგომა სოციალისტური ეკონომიკის ისეთი ძირითადი თემებისადმი, როგორიც არის მომჭირნეობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, წესრიგი წარმოებაში. კვლავინდებურად ცოცხალია, პირდაპირ დაუძლეველია ცალკეულ რედაქციათა მისწრაფება „აღნიშნონ“, „ვალი მოიხადონ“ თვალში საცემი სათაურებით, რუბრიკებით, მრავალსიტყვაობით „ქუდებით“. ზოგჯერ ნაკლებად ზრუნავენ პუბლიკაციების შინაარსის სიღრმისათვის, იმისათვის, რომ გასაგები, ზუსტი, საინტერესო ფორმებით მიანწოდონ ისინი ადამიანებს. ამგვარი პრაქტიკა ჰგავს ლაყბობას, ლაქლაქს, და რედაქციების პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები ამას არ უნდა ურიგდებოდნენ. უნდა მივაღწიოთ, რომ სარედაქციო კოლექტივების მუშაობის სტილი შეესაბამებოდეს მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში „გაზეთ „ტრუდის“ მუშაობის შესახებ“ და „კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების შემოქმედებითი კავშირურთიერთობის შესახებ“, იყოს ნამდვილად შემოქმედებითი.

პარტორგანიზაციების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ხელს უწყობდნენ ჟურნალისტთა კადრების სწორ განაწილებას, უზრუნველყოფდნენ კოლექტივებში მომთხოვნელობის ატმოსფეროს, ავითარებდნენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას. საჭიროა, რომ კომუნისტები იძლევოდნენ გამოსვლების მომზადებისას პარტიული პრინციპულობის, კომპეტენტურობის მაგალითს, ეხმარებოდნენ თავიანთ კოლეგებს უფრო ყოველმხრივ აანალიზებდნენ აქტუალურ პრობლემებს, პარტიულად გაბედულად და მგზნებარედ იბრძოდნენ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის.

ყოველი რედაქციის კომუნისტების მუდმივი საზრუნავია მიაღწიონ, რომ თითოეული თანამშრომელი პარტიული ჟურნალისტის მაღალი წოდების ღირსი იყოს. ყოველი გამოცემის მუშაკი, რომელიც ბეჭდვითი სიტყვით ზრდის სხვა ადამიანებს, თავადაც უნდა იყოს უმწიკვლო ყველა თავის საქციელში. აქ ურიგო არ იქნება ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები: „ნუ დაგვიწყდებათ, რომ თქვენ პარტიული გაზეთის თანამშრომელი ხართ, და ნურც თქვენ გარშემო მყოფთ დაავიწყებინებთ ამას“.

რედაქციების პარტიული ორგანიზაციები აწყობენ და წარმართავენ თანამშრომელთა ჯოლიტიკურ, ისე პროფესიულ სწავლებას. საწარმოო თათბირებზე, თეორიულ სემინარებზე არის შესაძლებლობა ვიმსჯელოთ მიღწეულ შედეგებზე, დროულად შევიტანოთ საჭირო კორექტივები სარედაქციო საქმეთა მსვლელობაში, ვიდავოთ. სწორად იქცევიან იქ, სადაც შემოქმედებითს სჯა-ბაასში მონაწილეობისათვის იწვევენ პრესის აქტივისტებს, რეგულარულად აწყობენ მკითხველთა კონფერენციებს, აანალიზებენ ადამიანების წერილებს, გამოხმაურებებს პრესის გამოსვლებზე. პარტიულ კრებებზე განხილვისათვის უფრო ხშირად უნდა გამოვიტანოთ შემოქმედებითი საკითხები, კომუნისტების ანგარიშები საწესდებო ვალდებულებათა შესრულების, იდეური და პროფესიული ზრდის შესახებ. სარედაქციო კოლექტივში კარგი შემოქმედებითი ვითარების შექმნა ბევრად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მარჯვედ ეყრდნობა რედაქტორი კოლეტიური აზრის ძალას თემატური მიმართულებების შემუშავების, საგაზეთო კომპანიების დროს.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, მათი რიგების განმტკიცება მოითხოვს პარტიული კომიტეტების განსაკუთრებულ ყურადღებას. რედაქციების კომუნისტებს უნდა დავეხმაროთ, რომ მიაღწიონ პრესის გამოსვლების სიღრმესა და ქმედითობას, ხელი შეუწყონ ჟურნალისტთა კადრების იდეურ წრთობისა და ოსტატობის ამაღლებას. საყურადღებოა სკკპ ქალაქ მოსკოვის კრასნაია პრესნიას რაიკომის გამოცდილება. რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს 11 გაზეთის, ჟურნალის, წიგნის გამომცემლობის რედაქციები, მათი პარტიული ორგანიზაციები ნიადაგ რაიკომის ყურადღების ცენტრში არიან. ანგარიშები ბიუროს სხდომებზე, გამოცდილების გაზიარება, მდივნების შეხვედრები „მრგვალ მაგიდასთან“ — პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ეს და სხვა ფორმები დადებით შედეგებს იძლევა.

თანამედროვე ეტაპზე რედაქციების მუშაობაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი შესამჩნევად იზრდება. კეთილად უნდა გავაძლიეროთ მათი გავლენა პუბლიკაციების იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ავამაღლოთ პრესის—კომუნისტურ მშენებლობასა და მასების აღზრდაში ჩვენი პარტიის მებრძოლი თანამშემწის გამოსვლების ეფექტიანობა.

საქმეთა გამოაჩინა

თუ თქვენ აკრიფეთ „07“... სავსებით შესაძლებელია, რომ გიპასუხოთ თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტმა ეუფუნა ზაქარიაშვილმა. უკვე თოთხმეტი წელია იგი საკომუტატორო საამქროში — სადგურის ერთ-ერთ ურთულეს უბანზე მუშაობს, კეთილსინდისიერებით, თავდადებული შრომით მოიპოვა ეუფუნამ კოლექტივისა და ამხანაგების პატივისცემა და სიყვარული.

სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის ოსტატი შეტანილია ქვეყნის კავშირგაბმულობის სამინისტროს საპატიო წიგნში. მან უფლება მოიპოვა იმუშაოს უკონტროლოდ.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებთან ერთად ეუფუნა ზაქარიაშვილს შრომაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა.

სურათზე: ეუფუნა ზაქარიაშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

16 აპრილს კომუნისტური შაბათობაა

იშრომეზენ ნაყოფიერად

თბილისის კონიაკის ქარხნის კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. საწარმოს შრომელებმა ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოშვების იანვარ-თებერვლის გეგმა 104 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,2 პროცენტით შეასრულეს. წლის განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება 4 პროცენტით გაიზარდა. სასაქონლო თვითღირებულების ხაზით 5 ათასი მანეთი დაიზოგა.

განსაკუთრებით დაწინაურდნენ ჩამოსხმისა (უფროსი — ნ. ხვთისაშვილი) და საკუთაკე (უფროსი — დ. ელიოზიშვილი) საამქროების კოლექტივები, საეს-პორტო პროდუქციის გამოშვების ბრიგადები, რომლებსაც გ. ხელსინაძე და გ. გოგიშვილი ხელმძღვანელობენ.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ერთსულოვნად დაუჭიერეს მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას 16 აპრილს კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ. ამ დღეს აქ გამოუშვებენ 57 ათასი მანეთის 1000 დეკალტრ კონიაკს და ხუთწლედის ფონდში 300 მანეთს გადარიცხავენ.

ყველა განედიდან

ბათუმის ნავმისადგომში ღუზა ჩაუშვა მშრალტვირთიანმა გემმა „ზხატვარმა ა. გერასიმოვმა“. გემბანზე აკურატულად დაწყობილი 240 მილი იაპონიის ფუკუიამას ნავსადგურიდან ჩამოტანილი სასწრაფო ტვირთის მხოლოდ მეოთხედი ნაწილია.

მილები გათვალისწინებულია ურენგოი-პომარი - უქგოროდის გაზსადენისათვის.

მილების გადმოზიდვა მიანდეს სანაოსნოს საუკეთესო ეკიპაჟებს. თბომავალმა „ნიკო ნიკოლაძემ“ მილების ორი პარტია ჩამოიტანა დასავლეთ გერმანიის ბრემენისა და ჰამბურგის ნავსადგურებიდან, თბომავალმა „ფილიპე მახარაძემ“ — 14 ათას ტონაზე მეტი მილები ჰოლანდიის როტერდამის ნავსადგურიდან, „გენერალმა ლესელიძემ“ საფრანგეთის ატლანტიკის სანაპიროდან ილიჩევსკში ჩაიტანა მილების პარტია. მათ შეუფერხებლად ტვირთავენ და გზავნიან დანიშნულებისამებრ.

მსოფლიო ოკეანის ყველა განედიდან ამ დღეებში სანაოსნოში მოდის რადიოგრამები, რომლებითაც საქართველოს მეზღვაურები ეტყობინებიან, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 113 წლისთავის აღსანიშნავად იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი. 40 გემის ეკიპაჟებმა გადაწყვიტეს კომუნისტური შაბათობის დღეს იმუშაონ დაზოგილი სათბობით. (საქინფორმი).

რიტმულად, გადაჭარბებით

ცხინვალი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო კომბინატის კოლექტივი მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებს რიტმულად, გადაჭარბებით ასრულებს. ამას განაპირობებს კარგი მომარაგება, შრომის საუცხოო დისციპლინა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი.

სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა ვ. ი. ლენინის დაბადების დღის აღსანიშნავად კომუნისტური შაბათობის მოწყობისათვის მოსკოველთა პატრიოტული თაოსნობის მხარდასაჭერად. ეს დღეები დამკვრელურად გამოაცხადეს მკერავებმა, რომლებმაც ვადამდე გაანაღდეს იანვარ-თებერვლის დავალებანი. დაწინაურდნენ მკერავები რ. კულუმბეროვა, მ. ბეკოევა, თ. კოჩიევა, მჭარგავები ბ. ქოქოევა, დ. ქალახსაევა და სხვები. ისინი კარგა ხანია მარტის ანგარიშში შრომობენ და გადაწყვიტეს შაბათობის დღეს ხუთი თვის პირადი გეგმები შეასრულონ, გამოუშვან მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია. წლეულს კომბინატის კოლექტივმა 380 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოუშვას, ვალდებულება კი 57 ათასი მანეთით მეტი ღირებულების წარმოების გამოშვებას ვარაუდობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე, რომელიც ივნისის დამდეგს უნდა გაიმართოს, გათვალისწინებულია შემდეგი საკითხების განხილვა:

1. სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები მომსახურების სფეროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის სრულყოფის, როგორც დისციპლინის განმტკიცებისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის, საქმეში.

2. საბინაო მეურნეობის განვითარება, საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის გაუმჯობესება.

3. საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის პროექტი.

სკკპ XXVI ყრილობის კურსის საფუძველზე, რომლის მიზანია საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება, მათი მზარდი მოთხოვნილებების სულ უფრო სრული დაკმაყოფილება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ხალხის ყოველდღიური ზრუნვის საჭიროებას.

„საბჭოთა ადამიანისათვის ზრუნვა, მისი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების, მისი სულიერი განვითარებისათვის ზრუნვა პარტიის უმნიშვნელოვანესი საპროგრამო დებულებაა“, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

საქართველოს, ისევე როგორც მთელი ქვეყნის მშრომელები, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს, მთელ თავიანთ მეცადინეობას ახმარენ 1983 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციას, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ამავე დროს მნიშვნელოვნად გააქტიურდა მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების სათანადო პირობების შექმნას ეხება. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში გამოგზავნილ წერილები და სიტყვიერი მიმართვები შეიცავს კრიტიკულ შენიშვნებს, სურვილებს, კონკრეტულ წინადადებებს მომსახურების სფეროს საწარმოთა მუშაობის შესახებ.

1983 წლის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებული რეალიზაციისათვის ახლა უაღრესად საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ მშრომელთა შრომითი შემართება, რომელიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, რესპუბლიკის ზედიზედ მეათედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით დაჯილდოებამ და ქართველი ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი თარიღის — გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის 200 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ სესიაზე აღნიშნული საკითხების განხილვა ხელს შეუწყობს მომსახურების სფეროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობაში სათანადო წესრიგის დამყარებას, მშრომელების საარსებო მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას, საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის გაუმჯობესებას, ხაბინად ურთიერთობის დარგში კანონიერებ', განმტკიცებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ საკითხების მომზადებასა და განხილვაში, როგორც წესი, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, შრომითი კოლექტივები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები და მათი ორგანოები. (საქინფორმი).

ხარისხის ნიშანი: ატესტაციის ახალი წესი

წლეულს 1 აპრილიდან შემოღებული იქნება პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო ნიშანზე პროდუქციის ატესტაციისა და მისი რეგისტრაციის ახალი წესი.

საქინფორმის კორესპონდენტმა ა. შარშუნოვმა სთხოვა სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილეს მ. გეგეშიძეს განემარტა სიახლის არსი.

— ატესტაციისა და რეგისტრაციის ახალი წესი არსებითად განსხვავდება მოქმედი წესისაგან, თქვა მ. გეგეშიძემ. —თუ ამჟამად სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს მხოლოდ იმ სახალხო მოხმარების საქონლის ატესტაციისა და რეგისტრაციის უფლება აქვს, რომლებიც წარდგენილია ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ატესტაციაზე, და თანაც მხოლოდ რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების მიერ არის გამოშვებული, უკვე აპრილის დამდეგიდან ჩვენ მოგვიხდება რთული, მაგრამ საპატიო მოვალეობის შესრულება—რეგისტრაციაში გავატაროთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული მთელი პროდუქცია, მიუხედავად მისი გამომშვები უწყებრივი საწარმოების დაქვემდებარებისა, იმ ნაწარმის გარდა, რომელიც სსრ კავშირის სახმშენის ნომენკლატურას განეკუთვნება.

— პატივცემულო მურზაყან, ხომ არ შეცვლილა თვით ატესტაციის პროცესი?

— თვით წესი გარეგნულად მცირედ შეიცვალა: სახელმწიფო კომისიის მიერ ნაწარმის ატესტაციის შემდეგ დოკუმენტაციას კვლავ ჩვენს სამმართველოს გადმოეცემა, სადაც წარმოებს მისი ექსპერტიზა, ვანიშებთ სარეგისტრაციო ნომერს, რომელიც მოწმობს, რომ ნაწარმს მიენიჭა ხარისხის უმაღლესი კატეგორია. შემდეგ სსრ კავშირის სახსტანდარტში წარმოებს საპატიო ხუთკუთხედიანი ახალი ნაწარმის რეგისტრაცია საკავშირო აღრიცხვისათვის.

არსებითად ხარისხის ნიშანზე ნაწარმის წარმომდგენ საწარმოს თვითონ უნდა ეზრუნა დოკუმენტაციის მოძრაობისათვის, მრავალი ადამიანი ამის გამო საკმეს ცდებოდა. ამიერიდან გაფორმების მთელი პროცესისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ სახელმწიფო კომისიების თავმჯდომარეებსა და შესაბამის სამინისტროებს, რომელთა შემადგენლობაში შედის ესა თუ ის საწარმო.

სსრ კავშირის სახსტანდარტის რესპუბლიკურ სამმართველოთა ფუნქციების გაფართოება უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია, რა თქმა უნდა, პროდუქციის ატესტაციისათვის მათი მუშაობის, სახელმწიფო ზედამხედველობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით.

— მაგრამ ამავე დროს, ხშირად ისიც ხდებოდა, რომ ნაწარმი, რომელმაც საპატიო ხუთკუთხედი მიიღო, მოკლე დროში ვერ უძლებდა პრაქტიკით შემოწმებას და კარგავდა მას. ატესტაციისა და რეგისტრაციის ახალ წესში გათვალისწინებულია თუ არა ასეთი მოვლენის თავიდან აცილება?

— რა თქმა უნდა. ახლა სახელმწიფო კომისიის მიერ ხარისხის ნიშანზე პროდუქციის ატესტაციის წინ სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს აქტი იმის შესახებ, რომ შეაბამისმა ნაწარმმა გაიარა შემოწმება საწარმოო-ტექნიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის სახელმწიფო გამოცდის ერთ-ერთ მბოლარ ორგანიზაციაში. სსრ კავშირში შექმნილია 157 ასეთი ორგანიზაცია. ჩვენს რესპუბლიკაში განლაგებულია სამი მათგანი: მცხეთის სამანქანო-საცდელი სადგური, სადაც შემოწმებას გაივლიან მთელ ქვეყანაში წარმოებული სამთო მოწამთოქმედებისათვის განკუთვნილი მანქანები და მექანიზმები; თბილისის სასურსათო მანქანათმშენებლობის მეთაური სპეციალიზებული საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც იკისრებს მინის ჭურჭელში ყველა სახეობის საკვები სითხის, აგრეთვე სსრ კავშირში გამოშვებული ღვინისა და ჩაის მრეწველობის პროდუქციის ჩასხმისა და მოხუფვის მოწყობილობის გამოცდას; ჩვენი მეტროლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარი“, სადაც გამოცდიან ეგრეთ წოდებულ სამოწმებელ სამუშაოთა ავტომატიზაციის საშუალებებს.

თავის მხრივ, საქართველოს ინდუსტრიის მიერ წარმოებული ბევრი სახეობის პროდუქცია საპატიო ხუთკუთხედზე ატესტაციის წინ გაიგზავნება შესაბამის საცდელ ცენტრებში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ: მაგალითად, ჩარხები — მოსკოვში, ლითონსაჭრელი ჩარხების საექსპერიმენტო სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში; ჰიდრო და პნევმომოწყობილობა— ხარკოვში, შესაბამისი პროფილის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში და სხ.

არის კიდევ ერთი რამ, რითაც ატესტაციისა და რეგისტრაციის ახალი წესი არსებითად განსხვავდება ძველისაგან. წარდგენილ დოკუმენტაციაში, მიუხედავად იმისა, იგზავნება იგი დარგობრივი რესპუბლიკური სტანდარტის თუ ტექნიკური პირობების დასამტკიცებლად, ძირითად მახასიათებელთა შორის უნდა აღინიშნოს ზუსტი მონაცემები პროდუქციის მასალატევადობისა და ენერგოტევადობის შესახებ. როგორც ხედავთ, ამან უნდა გამოიწვიოს მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერება.

— მუშაობის ახალ პირობებზე გადასვლა ხომ არ გამოიწვევს თქვენი ორგანიზაციის გარდაქმნას?

— რეორგანიზებული იქნება თვით მუშაობა, მაგრამ შტატები არ გაიზრდება. სერიოზული ამოცანებია დასახული ჩვენ წინაშე სახსტანდარტის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რადგანაც ჩვენი მოვალეობა იქნება რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ყველა დარგის—საავტომობილო და გემთსაშენებელი, მეტალურგიის, ქიმიის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, სხვათა პროდუქციის ატესტაცია და რეგისტრაცია. ეს ჩვენ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

იუგოსლავიაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის ვიზიტისათვის

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი მომდინარე წლის მარტის მეორე ნახევარში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩავა იუგოსლავიაში.

სამშობლოს ჯილდო

ქალაქ მურმანსკს გადაეცა I ხარისხის სამამულო ომის ორდენი

მურმანსკი. 10 მარტი. (საკ. კორ.). დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში ქალაქის მშრომელების მიერ გამოჩენილი მამაცობისა და სიმტკიცისათვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის ქალაქი მურმანსკი დაჯილდოდა I ხარისხის სამამულო ომის ორდენით.

დღეს აქ გაიმართა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლების, ომისა და შრომის ვეტერანების — საბჭოთა იმპერიოლარეთის დაცვის მონაწილეთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ქალაქისათვის სამაღლო ჯილდოს გადაცემას.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი **დ. თ. უსტინოვი**, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მან ქალაქის შრომელებს გულითადად მიულოცა სამობლოს უმაღლესი ჯილდო და გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გულითადი სალამი და მხურვალე ბილოცვა.

იმპერიოლარეთის ქალაქი მურმანსკი, აღნიშნა ორატორმა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდაა. ფაქტობრივად იგი დიდი ოქტომბრის თანატოლია. მურმანსკელი მშრომელები უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგნენ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გეგმების შესრულებას და უკვე ბევრი რამ გაეკეთებინა.

მურმანსკელებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრებაში. ისინი თავდადებულად და გმირულად იბრძოდნენ მე-14 არმიის რიგებში და ჩრდილოეთის ფლოტის ხომალდებზე, საზღვაო ქვეითი ჯარის, მესაზღვრეთა და მფრინავთა ქვეგანაყოფებში, პარტიზანულ რაზმებში, თავდაუზოგავად შრომობდნენ ფრონტისათვის, მშვიდობისათვის — ზღვაზე, ნავმისადგომებთან და ჩარხებთან, შახტებსა და ფერმებში.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა თავისი ჩრდილოეთის საზღვრების დამცველთა დამსახურება, დააწესა შედალი „საბჭოთა იმპერიოლარეთის დაცვისათვის“. 300 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის 10 ათასზე მეტი მურმანსკელი დაჯილდოვდა ამ მედლით.

მურმანსკელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ბეჯითად და მიზანდასახულად შრომობენ სკკპ XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის. მეორე ყურადღების ცენტრშია პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვის, მისი მოხსენების — „სსრ კავშირის სამოცი წელი“ — დებულებებისა და დასკვნების, მოსკოველ ჩარხშენებლ ე ბ თ ა ნ შეხვედრის დროს გამოთქმული რეკომენდაციების რეალიზაცია.

ეს დებულებები, დასკვნები და რეკომენდაციები ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა აღიქვეს როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელსაც ყველგან აქტიურად ახორციელებენ. იგი მხურვალედ მოიწონეს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში, ფართოდ გამოეხმაურნენ მთელ მსოფლიოში.

შემდეგ ორატორი შეეხო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საკითხებს. სსრ კავშირი, თქვა მან, იბრძვის ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის, ხალხთა მტკიცე უშიშროების უზრუნველყოფისათვის. საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაზე კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს 80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამა, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ მიიღო. მისი განვითარება და კონკრეტიზაციაა სსრ კავშირის შემდგომი სამშვიდობო ინიციატივები.

ახლახან საბჭოთა კავშირმა სოციალისტური ქვეყნების სახელით წამოაყენა ახალი კონსტრუქციული წინადადებანი ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ერთობლივი შემცირების შესახებ. ეს ჩვენი კეთილი ნების კიდევ ერთი დადასტურებაა. და თუ მოლაპარაკება ვენასა და ჟენევაში ადგილიდან არ დაძრულა, ამის ერთადერთი მიზეზია ის, რომ ასეთივე ნება-სურვილი არა აქვთ მოლაპარაკებაში ჩვენს პარტნიორებს, დასავლეთის მხარეს ჯიუტად არ სურს ეძიოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი. ეს ეხება ფართოდ რეკლამირებულ ამერიკულ „ნულოვან ვარიანტსაც“, რომელიც, როგორც ჩანს, სწორედ იმიტომ წამოაყენეს, რომ არ შეგვიძლია მისი მიღება და არც არასოდეს მივიღებთ, რამდენადაც მისი მიზანია საბჭოთა კავშირის ცალმხრივი გაიარაღება.

მხოლოდ ომის მზარდი საფრთხე, რომელიც გამომდინარეობს რეაქციული იმპერიალისტური წრეებისაგან, გვაიძულებს განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, სათანადო დონეზე ვიქონიოთ არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერება და საბრძოლო მზადყოფნა.

მაღალი და პასუხსაგებია საბჭოთა შეიარაღებული ძალების ისტორიული მისია, თქვა დასასრულ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, ისინი ღირსეულად ასრულებენ მას ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მოძმე არმიებთან მჭიდრო თანამეგობრობით.

საბჭოთა ადამიანები

დმანისური უგანრიგო რგოლები

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის დმანისის

რაიკომის პირველი მდივანი ე. ბერიძე

დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებისთვის წლები უღიმღამოდ მიდიოდა. უკეთესობის მოლოდინში ნელ-ნელა უწონდელ კოზიციებსაც თმობდნენ. სახელმწიფო დავალებებს ვერ ასრულებდნენ მეკარტოფილეები, მეძროვლეები, მეცხოველეები. და ეს მაშინ, როცა სოფლის მეურნეობაში სისტემატურად აზრდებოდა კაპიტალური დაბანდებანი, შენდებოდა სარწყავი ნაგებობანი, ახალი ფერმები. მეურნეობანი იძენდნენ თანამედროვე, მძლავრ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. ერთი სიტყვით, იყო დიდი ბარჯი, მაგრამ მას მატერიალური უკუგება ადარ მოჰქონდა. მერე დმანისელებმა (სულ ახლახან) დაიწყეს გეგმების შესრულება. როგორ მოხდა ეს?

საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიონულ კომიტეტში სისტემატიურად გვაწუხებდა ამ სულ ტი მატერიალური უკუგების პრობლემა. ამოცანა თავისთავად გეეკითხებოდა: თუ იყო მიწა, გვქონდა საკმარისი ტექნიკა, გვყავდა კვალიფიციური სპეციალისტები ყოველ დარგში, რატომღა იყვნენ ჩამორჩენილნი? გამოირკვა, რომ იყო წვრილმანი და ადვილად დასაძლევი მიზეზები, მაგრამ იყო ერთი მთავარი მიზეზი უნაყოფო მუშაობისა და მისი გამოსწორება ცოტა ძნელი საქმე ჩანდა, რამეთუ იგი რისსაც მოითხოვდა. ყოველი სასარგებლო საქმე ხომ ასე მოჩანს ხოლმე თავდაპირველად.

მტკიცდებოდა მატერიალურ-ტექნიკური ძალა, იზრდებოდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების რაოდენობა, მაგრამ არავის არ აინტერესებდა ადამიანის პირადი შრომითი შესაძლებლობების უფრო რაციონალური გამოყენება.

აკადემიკოს ვ. ტრაპეზნიკოვის აზრით, ადამიანის ფაქტორს, მისი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარებას და სტიმულირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თორემ, რა გამოდის: ორგანიზაციაში, სადაც ასეთათასობით მანეთის პროდუქცია იქმნება, ხელმძღვანელს არა აქვს საშუალება ხელფასის ფონდში მანევრირება მოახდინოს და რამდენიმე ასეული მანეთი იმგვარად დახარჯოს, რომ ვინც მეტი იშრომა, გასამრჯელოც უფრო მეტი მიიღოს. ამგვარ პირობებში კი სუსტდება, უფრო სწორად, დასაწყისშივე კვდება ყოველგვარი ადგილობრივი თაოსნობა.

ვ. ტრაპეზნიკოვის აზრით, ეს განსაკუთრებით ითქმის სოფლის მეურნეობაზე, რადგან ამ დარგში თაოსნობისა და შრომის ორგანიზაციის უკეთ მოწყობის პირობებში მისი ნაყოფიერება 5-10-ჯერ იზრდებოდა. რა თქმა უნდა, აქ მთავარია, რომ ადამიანებს სტიმულირებისათვის შრომის შესაფერისი გასამრჯელო ჰქონდეთ.

ამდენად, რაკი უღიმღამო მუშაობის მთავარ მიზეზს მიაკვლიეს, პარტიის რაიონულმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის მშრომელთა წახალისებისა და სტიმულირების ფორმების გამოძებნას, მათს ცხოვრებაში დანერგვას, რათა ამოქმედებულიყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად ზრდის აუცილებელი ფაქტორი, ისეთი სისტემა, რომელიც დამოკიდებული იქნებოდა შრომის საბოლოო შედეგებზე.

ყოველივე ასე ჩანს ახლა, მაგრამ მაშინ რას ითვალისწინებდით, რით დაიწყეთ?

პირველი, რაც სოფლის მეურნეობაში ჩახედულ ადამიანს თვალში მოხვდება და კიდევაც დაფიქრებს, ის გახლავთ, რომ შრომის ორგანიზაციის დღევანდელ პირობებში მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის წარმოებას თითქოს სუსტი პატრონი ჰყავს. იქმნება შთაბეჭდილება, და ლამის ისეც არის, რომ ნაშ., რომის საბოლოო შედეგზე ცოტას ფიქრობენ. აი, ვთქვათ, ტრაქტორისტმა მოხნა, მას გასამრჯელოს დმუშავებული ფართობის მიხედვით აძლევენ. ხარისხს აღარავინ დაგიდგეს. მერე ნაკვეთში სასუქების შემტანი მუშაობს, მას მთესავი შეცვლის და შრომის ციკლი ისე გაგრძელდება, რომ მასში მონაწილე ადამიანები საბოლოო შედეგზე, მოსავალზე ნაკლებად ფიქრობენ, ყველა თავის საქმეს გააკეთებს თუ მიაფუჩეჩებს და მერე მიდიან... ხელფასი კი ყველას გაკეთებული საქმისათვის ეძლევა, და არა იმისდა მიხედვით, თუ მათმა ნაშრომმა როგორი კონკრეტული შედეგი მოგვცა.

აქ არ შეიძლება უწონდელი გლები არ გავიხსენოთ, სიძუნწის გამო რომ დასცინოდნენ ხოლმე. ამა, ხელგაშლილი სიიდანება იქნებოდა, როცა ღრმად სწამდა, რომ ყველა მარცვალი, თითოეული კაპიკი უნდა დაეზოგა — თავისთვის, საქონლისთვის, ერისთვის, ბერისთვის. ყაიარათიანობით მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. და როცა ასე იყო, გლეხს ერთი ნაგლეჯი მიწაც კი არ ჰქონდა დაუმუშავებელი. დავფიქრდეთ და ვალიაროთ, რომ დღეს ჩვენ ე. წ. „გლეხური სიძუნწე“ ძალიან გვჭირდება, მაგრამ ამისათვის უნდა გვქონდეს პურის მომყვანთა შრომის ერთიანი ციკლი, რათა ადამიანი ხელფასს დანაწევრებული შრომის გამო კი არა, მისი საბოლოო შედეგის მიხედვით იღებდეს.

ამ აზრმა ჩვენ, დმანისელებს, წარმატებების იმედი ჩაგვისახა. მარშან გადაეწყვიტეთ უგანრიგო რგოლები შეგვექმნა, სადაც ხელფასი ერთი მთლიანი, სამუშაოთა კომპლექსის საბოლოო შედეგის მიხედვით განისაზღვრებოდა. შრომის ასეთი ორგანიზაციის დროს კი იქმნება აგროტექნიკური ღონისძიებების იმგვარად განხორციელების შესაძლებლობა, რომ გარანტირებული იყოს საუკეთესო მოსავალი. ამასთანავე საზოგადოებრივი სიმდიდრისადმი იქმნება ჯანსაღი, კოლექტიური დამოკიდებულება, გამორიცხულია სოციალისტური საკუთრების დაცემა. რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის პროდუქტი მის შემქმნელსაც ეძლევა და ქალაქსაც.

როგორი იყო ამ თქვენი ექსპერიმენტის ეკონომიკა?

მარშან 10 უგანრიგო სამეურნეო რგოლი შეექმნენთ. მათ 189 ჰექტარზე დათესეს კარტოფილი და მოიყვანეს. ამასთანავე თითოეულ კაცს 2 ჰექტარი ფართობი გამოსადიოდა დასამუშავებელი, მაშინ, როცა ჩვეულებრივად 0,2 ჰექტარს ამუშავებდნენ.

მთელი 189 ჰექტარიდან საგაგმო 1978 ტონის ნაცვლად 3.170 ტონა კარტოფილი მიიღეს. ამით გეგმას 60 პროცენტით გადააჭარბეს და დმანისელებმა ეს შეძლეს პირველსავე წელიწადს, პირველსავე ცდაზე.

უგანრიგო რგოლის თითოეულმა წევრმა 31 ტონა კარტოფილი მისცა ქვეყანას. ჩვეულებრივად კი 15 ცენტნერზე მეტი ვერ მოჰყავდათ. აი, ასე უცებ გაორკეცეს დმანისელმა მეკარტოფილეებმა შრომის ნაყოფიერება.

მარტო ნატურალური გასამრჯელოს სახით რგოლის თითოეულმა წევრმა 3 ათასი კილოგრამი კარტოფილი მიიღო. ვაკის, ვარდისუბნის და ეგრისის საბჭოთა მეურნეობების რგოლებმა საშუალოდ ჰექტარზე 22 ტონაზე მეტი კარტოფილი მიიღეს, საგაგმოზე ორჯერ უფრო მეტი. ამ რგოლების ყოველმა წევრმა ფულად გასამრჯელოდ 3-4 ათასი მანეთი მიიღო, ხოლო ნატურალური ანაზღაურების სახით — 5-6 ტონა კარტოფილი.

რგოლებში ერთი ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება 16,5 მანეთი იყო. ხოლო იმავე საბჭოთა მეურნეობაში — 21,3 მანეთი. რგოლის მოგებამ თითოეულ ჰექტარზე 797 მანეთი შეადგინა, ხოლო საერთო-რაიონული მოგება მხოლოდ 300 მანეთია. ეს უბრალო ანგარიში იმისათვის დაგვჭირდა, რომ გასაგებად გვითქვა: პირველსავე სამეურნეო წელიწადს დაამტკიცეს უგანრიგო რგოლებმა, რომ მათი მუშაობა 270 პროცენტით მომგებიანი გამოდგა.

უგანრიგო რგოლი მუშაობის ერთ მთავარ პრინციპს მისდევდა — თვითონ ხნავდა, თვითონ თესავდა, თვითონ უვლიდა, სულ კარტოფილის ნათესებში ტრიალებდა, რადგან იცოდა, რომ ზეგეგმითი პროდუქციის 70 პროცენტი მისი იყო. ამიტომ ისე გაიხარჯა, რომ კარტოფილი არც ქვეყანას დააკლო და არც ოჯახს. მერე როგორ ცდილობდნენ ვაკის საბჭოთა მეურნეობაში! ერთმა რგოლმა ხელმეორედ გადახნა მინდორი, სხვისი გაკეთებული საქმე არ მოეწონათ, ჩვენ აქ კარგ შოსავალს ვერ მივიღებთ და ჯობია ახლა ცოტა მეტად გავიხარჯოთ, ვინემ მერე ბევრი ვიზარალოთო. პარტიის დმანისის რაიკომმა, რაკი თავისი აზრი მეკარტოფილეობაში განახორციელა, მარშან ოქტომბრისათვის მეცხოველეობაშიც შექმნა რამდენიმე ექსპერიმენტული უგანრიგო რგოლი. აქაც შედეგი სასურველი იყო. მეცხოველეობაშიც თითქმის ორჯერ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. რგოლებმა გეგმით გათვალისწინებულზე 18.162 კილოგრამით მეტი რძე მოწველეს. აქედან 70 პროცენტი მათი საკუთრება იყო: ნატურით ზოგმა კარაქი მიიღო, ზოგმა ყველი — ვინც რა ისურვა.

რა პრინციპით იქმნება უგანრიგო სამეურნეო რგოლი?

შეგვიძლია ვთქვათ, რომ რგოლის წევრები თვითონ ირჩევენ ერთიერთს. ხელმძღვანელის კანდიდატურასაც თავადვე დასახელებენ ხოლმე. ოღონდ მათ მერე პარტიის რაიკომის ბიუროო ამტკიცებს. რგოლის წევრთა რაოდენობა ტექნიკურ რუკაზე მოცემული სამუშაოს მოცულობის მიხედვით განისაზღვრება, რა თქმა უნდა, საჭირო კაცდღეების რაოდენობის გათვალისწინებით. მეცხოველეობაში მომუშავე უგანრიგო რგოლების სტრუქტურაც იგივეა. ოღონდ ერთი განსხვავებაა — მკაცრად უნდა იყოს დაცული მეცხოველის საქონელთან მუშაობის ნორმატივები.

რაიონში დღეს უკვე შექმნილია მემინდვრეობაში მომუშავე 67, ხოლო მეცხოველეობაში მომუშავე 38 რგოლი. ამ 105 სამეურნეო რგოლს თავიანთი კვალიფიციური ხელმძღვანელი სჭირდება. რას ფიქრობთ ამაზე?

უგანრიგო რგოლის გამართული და ნაყოფიერი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული ხელმძღვანელის უნარსა და საქმის ცოდნაზე. იყო შემთხვევა, როცა რგოლმა უნიათო ხელმძღვანელი გადააყენა და ისეთი აირჩია, რომელმაც მათი იმედი გაამართლა. ამდენად, ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ რგოლების წინამძღოლთა შერჩევას. რგოლის თავკაცი ხომ უნდა ერკვეოდეს მინდობილი საქმის ნიუანსებში, ესმოდეს ეკონომია, ჰქონდეს ორგანიზატორული ნიჭი, იყოს კარგი მეურნე-სპეციალისტი.

ამიტომ სულ ახლახან ჩავატარეთ უგანრიგო რგოლების ხელმძღვანელთა სასწავლო სემინარი, რომლის თემა იყო „სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანიზაცია და ეკონომიკა სამეურნეო ანგარიშის დროს“.

სემინარზე გაიმართა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობანი. თავად სწავლების პროცესში წამოიჭრა საინტერესო საკითხები: როდის და რა რაოდენობით უნდა შევიტანოთ სასუქები საძოვრებში, რათა საკმარისი იყოს ძოვების მთელი პერიოდისათვის და ამასთანავე არ იმოქმედოს რძის ცხიმიანობის შემცველობაზე? რგოლის წევრების გამოშუშავებული ხელფასი დაირიცხება თუ არა განრიგის მეშვეობით და თუ დაირიცხება, რა წესით? თუ რგოლმა ვერ შეასრულა წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა ერთ სახეობაში, ხომ ვერ იმოქმედებს ეს სხვა სახეობის ნატურალურ ანაზღაურებაზე?

სემინარზე ამგვარი კითხვა უთვალავი წამოიჭრა და ყველას კვალიფიციური პასუხი გასცეს. სემინარი ერთ კვირას გაგრძელდა. მსმენელები სწავლობდნენ მათთვის საჭირო საკითხებს: „სამეურნეო ანგარიშის ერთეულები და მათი აქტუალურობა“, „რაიონული რგოლის აგროსამრეწველო კომპლექსი და მისი ეფექტიანობის გაზრდის ფაქტორები“, „სოფლის მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშის ზოგადი დებულებანი“, „სამეურნეო ანგარიშის რგოლების შემადგენლობის და რიცხობრიობის განსაზღვრული ფაქტორები“, „სამეურნეო ანგარიშის დროს სოციალისტური საკუთრების დაცვა და შრომის დისციპლინა“. ამ საკითხებზე რგოლის ხელმძღვანელებს სემინარებზე ესაუბრებოდნენ საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის მეორე მდივანი ე. ქრისტოსენკო, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ა. მიქელაძე, დმანისის რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის მთავარი აგრონომი გ. ამფიმოადი, მთავარი ზოოტექნიკოსი გ. გრიგორიანი, რაიონის მთავარი ეკონომისტი ე. პეტრუსოვა, მთავარი ვეტექიმი მ. სკაჩკოვი, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი მ. მაისურაძე, პროკურორი ფ. ჩიტკოვი.

დასკვნითი შემაჯამებელი მეცადინეობის შემდეგ მსმენელებს გადაეცათ სპეციალური მოწმობები იმის დასტურად, რომ ისინი უფლებამოსილი არიან უხელმძღვანელონ უგანრიგო რგოლების მუშაობას.

ამჟამად მეცხოველეობისათვის რთული პერიოდია. როგორც იტყვიან, ზამთარმა კუდი მოიქნია. დმანისის ისედაც მკაცრი ზავა უფრო ავი გახდა. ასეთ დროს წველადობა კლებულობს. რას აკეთებენ ვაკის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობისა და ბაშკიჩეთის ჯიშთაშენის მეცხოველეობის უკვე „გამოცდილი“ უგანრიგო რგოლები.

ვაკის საბჭოთა მეურნეობის უგანრიგო რგოლის ხელმძღვანელი ასლან ჰუსეინოვი ძალიან იმედიანად არის. შარშანდელმა პირველმა წარმატებამ მას დიდი იმედი ჩაუსახა. ახალ საქმეს უმალ აუღო ალღო, ახლა ერთი ოჯახივით ვშრომობთ, ამბობს, უწონ ყველას გაქცევაზე ეჭირა თვალიო. ერთი გრამი კომბინირებული საკვები და ერთი ბოღაა თავაც რომ დაებნეთ, იღებენ და ძროხას მიურბენინებენ ხოლმე. ფერმაში ყველაფერს თვითონ აკეთებენ, საკვებს უხვად აძლევენ საქონელს, სადგომს ასუფთავებენ, ტრანსპორტიორსაც კი თვითონ შეაკეთებენ ხოლმე — ზედმეტი ხალხი არ გვინდაო. საკვების საამქროშიც თვითონ ირჯებიან. იქიდან ერთი მუშა დაითხოვეს — საკვებს გვპარავდა და იმიტომო, მუქთახორები არ გვჭირდება, საქმეს თვითონაც აუვალთო. აქ გამოცდილ მწველავებთან ერთად კომკავშირელებიც მუშაობენ: როზა აბატოვა და ლალაზარ ნოვრუზოვი კმაყოფილებით ამბობენ, რომ წინათ 30-50 მანეთს იღებდნენ, ახლა კი ამდენს მარტო პრემიად დებულობენ, კიდევ ხელფასი და ნატურალური ანაზღაურებაც ხომ ეძლევათ. შარშან იმ „ეკესპერიმენტული კვარტალის“ შედეგებით თითოეულმა ნატურალური გასამრჯელოს სახით 12-12 კილოგრამი კარაქი წაიღო.

ასლან ჰუსეინოვს უგანრიგო რგოლმა იანვარში 8.800 კილოგრამის ნაცვლად 10.960 კილოგრამი რძე მიიღო. თებერვალში 8.625 კილოგრამის ნაცვლად 9.984 კილოგრამი რძე მოწველა — ორ თვეში გეგმით გათვალისწინებულზე 3.519 კილოგრამით მეტი რძე, ეს კი შარშანდელი ბოლო კვარტალის მაჩვენებელზე მეტია. აქედან, ხელშეკრულების თანახმად, 30 პროცენტი მეურნეობისა, ხოლო 70 პროცენტი უგანრიგო რგოლის წევრებისაა.

14 წელიწადს ბრიგადირად ვმუშაობდი. გეგმებს ვერასოდეს ვერ ვასრულებდითო, — გვითხრა ასლან ჰუსეინოვმა.

ბაშკიჩეთის ჯიშთაშენ მეურნეობაში საქონელს კარგად უვლიან. მას შემდეგ, რაც უგანრიგო რგოლები ამუშავდა, ხომ ერთ რამედ ღირს მათს ფერმებში შესვლა. თვალს ესიამოვნება, ისე ჰყავთ საქონელი მოვლილი. ისმიხან რამაზანოვის პირველმა უგანრიგო რგოლმა ორ თვეში 36 ტონა რძე მიიღო. გეგმით პირველ კვარტალში 51,5 ტონა რძე უნდა მიიღონ. რგოლის ხელმძღვანელი ვარუდობს, რომ ამ დავალებას 23 მარტისათვის შეასრულებს და მერე დაახლოებით 4 ტონა რძე და მისი პროდუქტები მშრომელთა კუთვნილება გახდება. რგოლის ხელმძღვანელის აზრით, შრომის ნაყოფიერების გაზრდა, ნატურალური დაინტერესებდანაც მოდის. მეცხოველე, ყველისა და კარაქის გარდა, მიიღებს აგრეთვე ორი თვის ხბოს, იმ პირობით, თუ ნამატის მიღების გეგმას გადააჭარბებს. გასული იანვარ-თებერვლის ნაშრომით ასლან ჰუსეინოვის რგოლს 4400 მანეთი მოგება დარჩა. რენტაბელობამ 139 პროცენტს მიაღწია. ამის შემოქმედნი არიან ქალბატონები: ფერმის მექანიკოსი თავის მოვალეობას არ ასრულებდა, ამიტომ დავითხოვეთ და ახლა მის საქმესაც ჩვენ ვაკეთებთო. ამ მეურნეობის უგანრიგო რგოლებში თუ ვინმე ზარმაცი და მცონარა გამოერიათ, ჯერ პრემიას არ მისცემენ, ეს გაფრთხილებაა, თუ კიდევ იზარმაცა, მერე რგოლის წევრობიდან გარიცხავენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც უგანრიგო რგოლები შეექმენით, სიზარმაცემ გუდანაბადი აიკრა და ნამდვილი შრომა ზეიმობს.

ნატურალური ანაზღაურება სულ სხვა სახით მიეცემთ ამ მეცხოველეებს, რომლებიც მოზარდეულს უვლიან. აი, რუსტამ რუსტამოვის უგანრიგო რგოლს 270 ხბო აბარია. გეგმით დღე-ღამეში თითო მოზარდეულმა 490 გრამი უნდა მოიმატოს. უგანრიგო რგოლში ეს მაჩვენებელი უკვე 550-560 გრამს აღწევს. თუ მომავალშიც ასე იქნება, ზეგეგმითი წონამატების 60 პროცენტი მომვლელისაა, ანუ უგანრიგო რგოლების წევრები სახლში ხბოებს წაიყვანენ.

— და, ბოლოს, თითქმის ტრადიციული შეკითხვა — როგორი გესახებათ ამ კარგად წამოწყებული საქმის მომავალი?

— აი, ეგ ფიქრი გამუდმებით მაწვალებს. ჩვენ ვეძებთ სასურსათო პროგრამის განხორციელების გზებს. ამ ძიებაში, რა თქმა უნდა, სხვათა გამოცდილებას ვიზიარებთ, ჩვენსასაც ვქმნით, რადგან ხვალ ზოგი ანგარიშგასაწევი იქნება, ზოგი ალბათ, უარსაყოფი. დმანისური უგანრიგო რგოლების მუშაობა ჯერ ხომ ექსპერიმენტის ფაზას არ გასცილებია. მაგრამ ეს ფაქტი ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ: თუ ნიადაგი დასარევლიანებულია, კულტივაცია საჭირო იქნება.

სტიქიის მიზეზით თითქმის ოცი დღით დაგვიანდა მზესუმზირასა და ბაქრის ჭარხლის თესვა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ მომავალი სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ჩატარებას. ამ კულტურების თესლი უკრაინიდან მიღებულია საკმარისი რაოდენობით,

ამასთან დაკავშირებით გვინდა ყურადღება მივაპყროთ იმ ფაქტს, რომ კარგა ხანია დადგა დრო მეურნეობებმა ხელი აიღონ „სხვის მოიმედოობაზე“ — მოკავშირე რესპუბლიკებიდან მიღების გზით სათესლე მასალის დაგროვებაზე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სრული შესაძლებლობა აქვს შექმნან სათესლე მასალის წარმოების საკუთარი ბაზა. (საქინფორმი).

მოწინავე გამოცდილება საყოველთაო კუთვნილებაა

საქართველოს პირველადს პარტორგანიზაციათა მდივნების პირველი რესპუბლიკური კრების რეკომენდაციების შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში ეწყობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების ზონალური თათბირ-სემინარები. მათი მონაწილენი განიხილავენ იმ ამოცანებს, თუ როგორ განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, მოთხოვნები დადგენილებისა, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად კუსტანაის ოლქის ფედოროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“.

სოხუმში გამართულ თათბირ-სემინარში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ზუგდიდის, მესტიის, ხობის, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების აგროსამრეწველო კომპლექსის პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, აღნიშნული რაიკომების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეები.

თათბირ-სემინარის მონაწილენი იყვნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შეხვდნენ პარტიის რაიკომების პირველ მდივნებს, რომლებიც ესაუბრნენ მათ რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ, გააცნეს, თუ როგორ ასრულებენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ. ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, თუ როგორ ეწევიან პარტიულ მუშაობას აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის ორგანიზაციული და იდეოლოგიური უზრუნველყოფის, დისციპლინის განმტკიცებისათვის. კერძოდ, აღინიშნა, რომ ეფექტანი ფორმა გამოდგა პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობენ პარტიულ ორგანიზაციათა მოქმედების უკეთეს კოორდინაციას, შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელობის სტილის, ფორმებისა. და მეთოდების გაუჯობესების პრაქტიკულ რეკომენდაციათა შემუშავებას.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა საბოლოო პლენარულ სხდომაზე.

ორ დღეს მიმდინარეობდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების ზონალური თათბირ-სემინარი ავარაში. თერჯოლის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ტყიბულის, წულუკიძის, ორჯონიკიძის რაიონების, ქალაქ წყალტუბოს ზონის სოფლის პარტიულ ორგანიზაციათა წინამძღოლნი პარტიის ქობულეთის რაიკომში შეხვდნენ რაიონის პარტიულ აქტივს. ისინი გაეცნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობის, მასებში პოლიტიკური მუშაობის კობულეთელთა გამოცდილებას, რომელიც განაპირობებს მათს მაღალ მაჩვენებლებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

თათბირ-სემინარის მონაწილენი იყვნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც უშუალოდ გაეცნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას. გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი ხუთწლედის შუაგული წლისა და საერთოდ მთელი ხუთწლეულის ამოცანების შესასრულებლად სოფლის მშრომელთა მობილიზაციისათვის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების, ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელების შესახებ.

თათბირ-სემინარის მუშაობის დასასრულ პლენარულ სხდომაზე ამ ღონისძიების შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

(საქინფორმი).

პირველადი ორგანიზაციის — პარტიული ორგანიზაციის საფუძველი

თოვლიან მინდორში

თითქოს ზამთარს მთელი თავისი ძალები გაზაფხულის პირველი თვისათვის შემოენახოს — რესპუბლიკის დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც სტიქია ბატონობს: თეთრი საბურველით დაიფარა ყანები, პლანტაციები, ვენახები, ბაღ-ბოსტნები. სიცივემ დაარღვია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების რიტმი.

— მდგომარეობა რთულდება იმით, — აზუსტებს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მარცვლეული და ტექნიკური კულტურების სამმართველოს უფროსი ზ. ქერეტიშვილი, — რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იძულებული გახდნენ შეეჩერებინათ იმ თავთავიანი კულტურების დამატებითი და ხელმეორე თესვის სამუშაოები, რომლებიც დაზიანდა შემოდგომა-ზამთრის გვალვისა და გრიგალის შედეგად.

რა მდგომარეობაა შექმნილი საშემოდგომო მინდორში — რესპუბლიკის მთავარ პურის უანში?

საზოგადოებრივ მეურნეობებში აზოტიანი სასუქები ნიადაგში შეტანილია 134 ათასიდან 83 ათას ჰექტარზე. და თუმცა თოვამ დროებით შეაჩერა ეს სამუშაოები, ზოგიერთ მეურნეობაში მაინც არის მათი განგრძობის შესაძლებლობა. ამისათვის უნდა განვსაზღვროთ, სად იძლევა თოვლის საფარი ტექნიკის გამოყენების საშუალებას, და ინტენსიურად შეიტანოთ ნიადაგში სასუქი. კარგ ეფექტს იძლევა, როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო ავიაციის დახმარებით ნიადაგში სასუქების შეტანაც.

როგორც ჩანს, გაზაფხული მალე დაიბრუნებს თავის უფლებებს, ამიტომ ყველა მეურნეობა მზად უნდა იყოს დათბობის პირველივე დღეებიდანვე ფართო ფრონტით გაშალონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადა და მეურნეობებს გადასცა „პასპორტები“ იმ ფართობების მითითებით, სადაც უნდა მოეწყოს მარცვლეული კულტურების ხელმეორე თესვა. ამისათვის მთელ რიგ რაიონებში შეიძლება არ დასჭირდეთ ხელმეორე ხვნა. როგორც კი დათბება, მინდვრებში სათესელებს გაიყვანენ ასპის რაიონის მიწათმოქმედები. მაგრამ ეს აგროხერხი ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ: თუ ნიადაგი დასარევლიანებულია, კულტივაცია საჭირო იქნება.

ინფორმაციები გაკეთეს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ რ. გოგლიძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. გვეტაძემ და საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ნ. რუსაკი.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მწყობრში ჩადგა თანამედროვე, მოხერხებული, ბევრ შემთხვევაში კი უნიკალური სპორტული ნაგებობანი. დღეს სპორტული ორგანიზაციების მუშაკთა წინაშე დაასახულია ამოცანა ჩააყენონ ისინი ხალხის სამსახურში, გადააქციონ ჯანმრთელობისა და კულტურის კერებად. მაყურებელთან გაანრიგებული და მრავალმხრივი მუშაობისა და სანიმუშო წესრიგისათვის ბრძოლის კარგი გამოცდილება შეიძინა თბილისის სპორტის სასახლის კოლექტივმა. აქ შეჯიბრებებიც მაღალ სპორტულ და ორგანიზაციულ დონეზე ეწყობა და მაყურებელიც საინტერესო, კვალიფიციური ინფორმაციას იღებს.

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები იშვიათია. როგორც თათბირზე აღინიშნა, სერიოზული ნაკლოვანებებია ხოლმე ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე. ეს მასშტაბური და ხანგრძლივი შეჯიბრებაა. მასში 81 გუნდი მონაწილეობს. რესპუბლიკის ჩემპიონატმა ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდა ფეხბურთელებისა და გუნდების ოსტატობის შემდგომ ზრდას. ამავე დროს, ამ ტურნირების ორგანიზაცია და მოწყობა საფუძვლიან საყვედურს იწვევს. აქ ხშირია დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის კოლექტივი მჭიდრო კავშირს ამყარებს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებთან, ეხმარება მათ მთელი რიგი რთული ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინსტიტუტში მაღალი პასუხისმგებლობით იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების ათვის. პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ დიდი რეზერვები გვაქვს სახალხო მეურნეობაში და ისინი უნდა გამოვიყენოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების ფართო და სწრაფი დანერგვისათვის.

და დღეს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელს ეს მითითებანი ინსტიტუტის თანამშრომლთა სამოქმედო პროგრამა ხდება. ამ კორესპონდენციაში ლაპარაკი გვექნება კიბერნეტიკის ინსტიტუტის მოლეკულური ელექტრონიკის ლაბორატორიაზე, რომლის მუშაკებმაც საწარმოებთან პრაქტიკული ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება შეიძინეს. ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელი ვ. შველიძე თვითონ გახლავთ ინსტიტუტში ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებთან საქმიანი კონტაქტების დამყარების ინიციატორი. იგი ინსტიტუტის სხვა ლაბორატორიებსაც ეხმარება მეცნიერული მიღწევების პრაქტიკულ განხორციელებაში. ბევრს აკეთებს ამ მიმართულებით აგრეთვე ლაბორატორიის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ე. ტოროშელიძე. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ლაბორატორიის მიერ წარმოებასთან ურთიერთობის განმტკიცების ყველა ინიციატივას აქტიურად უჭერს მხარს კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი გ. ხარატიშვილი.

ამჟამად ლაბორატორიის კოლექტივი ხელშეკრულების თანახმად სამუშაოს ასრულებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისათვის. ამ საწარმოში კაზმის კომპონენტების ოპტიმალური დოზირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტენიანობის სწრაფი და ზუსტი

„წყდება ადგილზე“

ამ დღეებში ცენტრალურმა ტელევიზიამ განაგრძო დოკუმენტური ციკლის „წყდება ადგილზე“ — იმ ციკლის გადაცემა, რომელიც გვაცნობს ჩვენი ქვეყნის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობას მშრომელთა წერილებზე. „ამ გადაცემებში პატიოსნად და მართლად არის ნაჩვენები მშრომელთა მიერ აღძრული გადაუწყვეტელი საკითხები, — თქვა გადაცემის შესავალ სიტყვაში სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილების განყოფილების გამგემ ბ. პ. იაკოვლევმა. — ნაჩვენებია, თუ როგორ რეგიონებში ამა თუ იმ წინადადებაზე, სამართლიან კრიტიკაზე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები“.

შარშან ტელემაყურებლები გაეცნენ კურსკის, ულიანოვსკის, ლენინგრადის, კალინინისა და ივანოვოს ოლქების პარტიული მუშაობის გამოცდილებას. გადაცემის მებრძოლურობა, კონკრეტულობა და გერგილიანობა, მისი მონაწილეობის უნარი სერიოზულად და ამასთანავე გასაგებად ილაუბრონ რთულ საკითხებზე, და, რაც მთავარია, მისი ქმედითობა და ეფექტიანობა მოეწონა მილიონობით ტელემაყურებელს. ამის დასტურია წერილები, რომლებიც ცენტრალური ტელევიზიის პროპაგანდის მთავარმა რედაქციამ მიიღო. „მე მხოლოდ ახლა ვიწყებ პარტიულ მუშაობას, — წერს კურსკის ოლქის კოლმეურნეობა „კომუნიზმისათვის“ პარტკომის მდივანი ვ. დ. გოლოვაჩოვი. — და გადაცემები „წყდება ადგილზე“ ჩემთვის კარგი სკოლა გახდა. პასუხი მივიღე ბევრ კითხვაზე, რომლებსაც საკუთარ თავს ვუსვამდი. სად და როგორ მოვაწყოთ მიღება? რა ფორმით და როგორ გავცეთ პასუხები?“.

გასულ კვირა დღეს ეკრანზე ნაჩვენებმა გადაცემამ „დისციპლინა ყველასთვის ერთია“ გაგვაცნო მშრომელთა წერილებზე, წინადადებებზე და საჩივრებზე მუშაობის ახალი ფორმები საქართველოში. ერთ-ერთი ასეთი ფორმა გახდა... ჩვეულებრივი ტელეფონი ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წერილების განყოფილების გამგის ვ. მ. წულუკიძის ოთახიდან. ახლა საჩივრის შესატანად კაცს აღარ სჭირდება საათობით იჯდეს მისაღებში, თვეობით ელოდოს პასუხს. ნებისმიერი შეკითხვა შეგიძლიათ ტელეფონით მისცეთ და ასევე ტელეფონით მიიღოთ პასუხი დიდი-დიდი ნახევარი თვის შემდეგ.

ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროში ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლას ხელს უწყობს — და გადაცემა თვალნათლივ ადასტურებს ამას — საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი სამსახური, რომელიც შექმნილია თბილისში, ქუთაისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

„დისციპლინა ყველა ს თ ვ ი ს ერთია“ — თბილისის საავიაციო ქარხნის ამწყობი ზეინკლის ვ. ა. ლუკიანოვის ეს სიტყვები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ე. ა. შევარდნაძესთან მუშაობა შეხვედრაზე ითქვა, გადაცემის თავისებური აზრობრივი და ემოციური კამერტონი გახდა. ამიტომ არის, რომ ესოდენ მნიშვნელოვნად და დროულად ძღვრის გადაცემაში მუშებისადმი ე. ა. შევარდნაძის მოწოდება — უჩვენონ იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა დამყარდეს „სახიმუშო კომუნისტური წესრიგი საწარმოში, ოჯახში, ქუჩაში, ერთი სიტყვით, ყველგან“.

იმის თაობაზე, თუ რას ნახავენ ციკლის „წყდება ადგილზე“ ტელემაყურებლები, გვესაუბრება რუსეთის სფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რეჟისორი მიხეილ ლიტოვჩინი:

— მშრომელთა წერილებზე პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის უახლესი მეთოდების პროპაგანდა — აი ჩვენი მთავარი ამოცანა. დღეს საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკასა და ოლქში დიდმნიშვნელოვანი გამოცდილება იქმნება. უკვე მზად არის ორი მომდევნო გადაცემა, რომლებიც მოსკოვის ოლქის მშრომელთა საქმეებსა და საზრუნავს ეძღვნება: „სიტყვისა და საქმის ერთიანობა“ და „სოფლის ყრილობა“. პირველი ეხება პოდოლსკის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივში სპანიო-საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაწყვეტას, მეორე — „უპერსპექტივო“ სოფელ ხლოკკის კოლმეურნეთა კრებას, რომელშიც მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კონოტოპი.

„ხელმძღვანელის ანგარიშგება“ — ასეთი სახელწოდება ექნება ტელენაამბობს ლიტვის კომუნისტთა საქმეებზე. ამას წინათ ჩვენი გადამღები ჯგუფი სარატოვის ოლქის ბალაკოვოს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე იყო — იქ თშვა თემა ჩვენი მომდევნო „სერიისა“, რომელიც კულტურული მომსახურების ნაკლოვანებებს ეხება. გადაცემა „განსაკუთრებული ყურადღების სფერო“ გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორი ახალი პროგრესული ფორმებით ემსახურებიან მოსახლეობას პენზის ოლქის სახელმწიფო სავაჭრო ქსელის მუშაკები.

გვინდა აღვნიშნოთ ჩვენი გადაცემების ერთი თავისებურება. ჩვენ ყოველდღიურ კონტროლს ვუწევთ ყველა იმ საკითხსა და პრობლემას, რომლებსაც ტელეეკრანზე შევეხეთ. მაყურებლებს რეგულარულად მივაწოდებთ ინფორმაციას კონკრეტულ ღონისძიებათა თაობაზე, რომელთა მიზანია ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, ვუამბობთ იმის შედეგებზე, რაც ადგილებზე წყდება.

პ. სმირნოვი.

გაზეთი „ტრუდი“.
1983 წ. 8. III

„მერეკილეები“ ურალის სცენაზე

სვერდლოვსკის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ ნათელ მოვლენად მიიჩნევს ურალის ამ ქალაქის მცხოვრებლებმა ლუნაჩარსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის ოთარ თაქთაქიშვილის ოპერის „მერეკილეების“ („პირველი სიყვარული“) დადგმა.

ოპერის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი დამდგმელი ჯგუფის — დირიჟორის ვ. ბოჩაროვის, რეჟისორ ა. ტიტილის, მხატვარ ი. უსტინოვის, ლოტბარ ი. მაკარენკოს, ბალეტმასტერ ი. კანგაროვის საინტერესო მუშაობამ, რომელიც დაეხმარა შემსრულებლებს (მარგალიტა — ტ. დობროვოცკაია, ქრისტეფორე — რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ვ. პისარევი და სხვები) ღრმად ჩაწვდომოდნენ ამ ეროვნული ოპერის ხასიათსა და მუსიკას.

ტაშით, მოწონების შეძახილებით შეხვდნენ სვერდლოვსკელები ქართველი კომპოზიტორის ამ ნაწარმოებს, რომელიც საქართველოს მზით ალი გამთბარი და ღრმად აქვს გადგმული ფესვი ხალხურ ხელოვნებაში. ოპერის გამჭვირვალე, ჟღერადმა მუსიკამ, სპექტაკლის ორიგინალურმა, თავისებურმა გადაწყვეტამ შთამბეჭდავი გახადა დადგმა.

სსრ კავშირის შემქმნის 60 წლისთავის წელს ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა წარმატებით დაიდგა კიევისა და ვორონეჟის თეატრების სცენებზე. იგი შეტანილია ქვეყნის სხვა თეატრების რეპერტუარშიც. (საინფორმი).

მუსიკალური საღამოები ლენინგრადში

ლენინგრადი. (საინფორმის სპეც. კორ.). ქვეყნის სხვა საუკეთესო მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლიანა ისაკაძე სადღესასწაულო ციკლში, რომელიც ლენინგრადის დ. დ. შოსტაკოვიჩის სახელობის ფილარმონიის აკადემიური სიმფონიური ორკესტრის ასი წლისთავს მიეძღვნა. ლიანა ისაკაძემ რუსეთის უძველესი მუსიკალური კოლექტივის თანხლებით შეასრულა ავსტრიელი კომპოზიტორის არნოლდ შონბერგის სავიოლინო კონცერტი. ნივისპირა ქალაქის მცხოვრებნი პირველად გაეცნენ მსოფლიო სავიოლინო ლიტერატურის ამ ურთულეს თხზულებას.

— უკვე მრავალი წელია ჩვენ თითქმის ყოველ სეზონში ვამზადებთ ლიანა ისაკაძესთან ერთობლივ პროგრამებს და იგი მუდამ ატყვევებს თავისი შთაგონებული შესრულებითა და უზენაესი მუსიკალური ინტელექტით ყველას, ვისაც კი მასთან უხდება მუშაობა, — თქვა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, დირიჟორმა ედუარდ სეროვმა, რომლის ხელმძღვანელობითაც შესრულდა კონცერტი.

ამ სეზონში ისაკაძემ ლენინგრადელი მსმენელები მოხიბლა თავისი დირიჟორობითაც. დ. დ. შოსტაკოვიჩის სახელობის ფილარმონიის დიდ დარბაზში მისი ხელმძღვანელობით ორი პროგრამით გამოვიდა საქართველოს სსრ კამერული ორკესტრი.

ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად

მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციაზე

დელი. აქ მიმდინარე **მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-7 კონფერენციის მონაწილენი მკაცრად აკრიტიკებენ საერთაშორისო იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის დელეგაციები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა ფრონტალური იერიში წამოიწყეს მიუმხრობლობის მოძრაობის მონაწილე ქვეყნებზე, იმ სახელმწიფოებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკაზე, რომლებიც დაუცხრომლად იბრძვიან ქვეყნად მშვიდობისათვის.**

ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა განაცხადა, რომ ვაშინგტონმა, რომელიც ახორციელებს ჩარეკვასა და ძირგამომთხრელ საქმიანობას მსოფლიოს ბევრ რაიონში, საფრთხე შეუქმნა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშრობას. სწორედ ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც ყოველნაირად უჭერს მხარს სამხრეთ აფრიკის რასიუბლიკის რასისტულ რეჟიმს, თქვა მან, უხეშად თელავს ფეხქვეშ ადამიანის უფლებებს სამხრეთ აფრიკაში.

ლიბიის წარმომადგენელმა ა. ჯელუდმა თქვა, რომ შეერთებული შტატები ამწვავებს დაძაბულობას მსოფლიოში, ამზადებს და ახორციელებს აგრესიის აქტებს დამოუკიდებელი და, უწინარეს ყოვლისა, განვითარებადი სახელმწიფოების წინააღმდეგ. მსოფლიო ბატონობას რომ მიაღწიოს, იგი ნერგავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ დიქტატს, უხეშად აბეზეებ თავს თავის ნებას სუვერენულ ხალხებს.

სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა გადაჭრით დაგმო შეერთებული შტატები მასირებული სამხედრო და ეკონომიკური დახმარებისათვის, რომელსაც ისრაელს უწევს. ახლანდელი კონფლიქტი რეგიონში, თქვა მან, ხდება არაბ ხალხებსა და ექსპანსიონისტურ რასისტულ სიონიზმს შორის, რომელსაც მთელი თავისი ძლიერებით მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები.

კონფერენციის მონაწილენი გადაჭრით გმობენ არა მარტო შეერთებულ შტატებს, არამედ იმთაც, ვისი ხელითაც იგი ახორციელებს თავის დამპყრობლურ, ჰეგემონისტურ პოლიტიკას, კერძოდ, ისრაელს. ტელ-ავივი თავის ნებას თავს ახვევს სხვა სახელმწიფოებს იარაღის ძალით. ეს, თქვა იორდანიის მეფე ჰუსეინმა, განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ლიბანში შეჭრითა და ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციით, საბრისა და შათილის ტრაგედიითა და სხვა დანაშაულით, რომელსაც პალესტინელი და ლიბანელი ხალხების წინააღმდეგ სჩადიან.

● ტაილანდ-კამპუჩია

პროვოკაციები გრძელდება

პნომპენი. როგორც კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, თებერვლის ბოლო დღეებში და მარტის დამდეგს ტაილანდის არტილერიამ, დაახლოებით 50-ჯერ დაუშინა მასირებული ცეცხლი კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საზღვრისპირა რაიონებს. პოლპოტელთა ბანდები და სხვა ქმერი რეაქციონერები, რომლებმაც ტაილანდში პოვეს თავშესაფარი, ცდილობდნენ უკანონოდ გადმოელახათ საზღვარი და შემოეწიოთ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის სიღრმეში.

სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ ტაილანდის მხარემ რამდენჯერმე გამოიყენა ქიმიური იარაღი. 18 თებერვალს ტაილანდის არტილერიამ მომწამვლელი ნივთიერებებით დატენილი ჭურვები დააყარა რაიონს, რომელიც ქალაქ ფაილინის ჩრდილოეთით მდებარეობს, ამ ქალაქის გარეუბნებს ქიმიური ყუმბარები დაუშინეს. აგრეთვე 21 და 23 თებერვალს, ამის შედეგად ბევრმა მშვიდობიანმა კამპუჩიელმა განიცადა ტოქსიკური ნივთიერებათა ზემოქმედება. არის სიკვდილის შემთხვევები.

ტაილანდის მხარის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებამ დამღუპველი გავლენა მოახდინა გარემო ბუნებაზე, კერძოდ, წყლის წყაროებზე, რომლებიც მოწამლული აღმოჩნდა, აღნიშნავს კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო.

ფოტოფაქტი

● იაპონია

მილიტარიზაციის კურსით

იაპონიის სამხედრო უწყებამ შეიმუშავა შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის ახალი ხუთწლიანი პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ტოკიო მიმდინარე წელს იწყებს. ამ პროგრამის თანახმად, იაპონიის „თავდაცვის ძალები“, როგორც აქ მძლავრ და კარგად შეიარაღებულ არმიას უწოდებენ, მიიღებენ დიდძალ ახალ საბრძოლო ტექნიკას და მაღალკვალიფიციურ კადრებს. აძლიერებენ რა სამხედრო მანქანას, იაპონიის მმართველი წრეები ცდილობენ დაუდასტურონ ვაშინგტონს ორი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განმტკიცების კურსის ერთგულება, აგრძნობინონ თავიანთ ოკეანისგაღმელ პარტნიორს, რომ იაპონია „ღირსეულად“ შეასრულებს პენტაგონის მიერ მისთვის დაკისრებულ შორეული აღმოსავლეთის ჟანდარმის ფუნქციას.

სურათებზე: „თავდაცვის ძალები“ აჩვენებენ თავიანთ სიმძლავრეს ახაკის ბაზაში ამას წინათ გამართულ პარადზე.

საკდესის ფოტო.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

კოლონეთის პრესის სააგენტოს ცნობა

ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ამერიკის, ადმინისტრაციისა და მისი ნატოელი პარტნიორების ცდები ეროვნულ პოლონეთის საშინაო საქმეებში.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, კომისიის სხდომაზე, რომელმაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ამოცანები განიხილა, გამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ვეიაჩი. მან აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები, ამწვავებენ საერთაშორისო დაძაბულობას და აგრესიულ პოლიტიკას ახორციელებენ სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოების, მათ შორის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, თქვა ორატორმა, კვლავინდებურად ატარებს პოლონეთის მიმართ „სანქციების“, ძალდატანებისა და შანტაჟის პოლიტიკას, ცდილობს იზოლაციაში მოაქციოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა საერთაშორისო ასპარეზზე. პოლონეთის ირგვლივ დაძაბულობის გამოდმეფული გაძვრავების ცდებს მოწმობს ის ფაქტიც, რომ დასავლეთის ინიციატივით ეგრეთ წოდებული „პოლონეთის საკითხი“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის ყოველ სხდომებს დღის წესრიგში შეიტანს.

სხდომაზე გამოითქვა შეშფოთება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში რევანშისტული განწყობილების გაძლიერების გამო, რომელმაც გამოხატულება პოვა ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის ციმერმანის გამოსვლებში. პოლონეთი, ხაზი გაუსვა ი. ვეიაჩმა, თანამიმდევრულად გაილაშქრებს რევანშიზმისა და ევროპაში დამკვიდრებული პოლიტიკურ რეალობათა დარღვევის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, მტკიცედ დაუჭერს მხარს დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განგრძობას.

მან განაცხადა, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა თავის საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში ძირითად ყურადღებას უთმობს სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას. ამის მაგალითია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო სამეთა მინისტრის ამასწინანდელი ვიზიტები საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

● ლიბანი

ოკუპანტთა თვითნებობა

ბეირუთი. ისრაელი ინტერვენტები ამკაცრებენ ოკუპაციის რეჟიმს მიტაცებულ ლიბანის მიწაწყალზე. 8 მარტს აღმოსავლეთ რაიონებში, რომლებიც ბეირუთის გარეუბნებს ეკვრის, შეინიშნებოდა ისრაელის ტანკებისა და ჯავშანმანქანების პროვოკაციული გადაადგილება. დედაქალაქის სამხრეთ გარეუბნებში ისრაელის ტანკებს უკვე ერთი კვირაა ალყაში აქვთ მოქცეული საკონდტრო ფაბრიკა „გახდური“, რამაც ამ საწარმოს მუშაობის შეწყვეტა გამოიწვია.

ქვეყნის სამხრეთში ოკუპანტები მაიორ ჰადადის სეპარატისტებთან ერთად განაგრძობენ ცდებს ძალით შეაკოწწონ ეგრეთ წოდებული „ეროვნული გვარდიის“ რაზმები ადგილობრივ მცხოვრებთაგან, რომლებიც ითანამშრომლებდნენ ისრაელებთან და ჰადადელებთან სოფლებში ოკუპანტების სასურველი „წესების“ შემოღებისათვის. სოფლების მამასახლისებს განუცხადეს, რომ ამ რაზმებში შესვლაზე მცხოვრებთა უარის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ გადასახადი „ეროვნული გვარდიის“ დაფინანსებისათვის. მთელ რიგ სოფლებში უკვე დაიწყო გადასახადების აკრეფა. უნდა შეგროვდეს 1,5-დან 5 ათასამდე ლიბანური გირვანქა. იუწყებიან, რომ 25 სოფლის მამასახლისებმა ამ რაიონში განლაგებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების სარდლობას პროტესტებით მიმართეს ინტერვენტების თარეშის გამო.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲐᲠᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐ

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲚᲘᲗ

გაკოტრებათა რიცხვი მატულობს

ლონდონი. ინგლისის კომპანიებს შორის გაკოტრების რაოდენობის შესახებ გაზეთ „ფაინენშლ ტაიმსის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემები კიდევ ერთხელ მოწმობს დიდი ბრიტანეთის კონსერვატორთა კაბინეტის წევრების იმ განცხადებების სრულ უსაფუძვლობას, რომ თითქოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა „სწორდებოდეს“. ამა წლის პირველი ორი თვის მანძილზე გაკოტრებული ფირმების რაოდენობა 29 პროცენტით გაიზარდა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

ამკაცრებენ თვალთვალს

ვაშინგტონი. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა უ. სმიტმა განაცხადა გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტთა საქმიანობის არსებულ წესებში ცვლილებათა შეტანის შესახებ, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაფართოვდება მათი შესაძლებლობანი პროგრესული ორგანიზაციების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი ოპერაციების მოწყობის „არალეგალობაში“ ექვმიტანილთა დევნის საქმეში.

ახალი წესები, კერძოდ, ითვალისწინებს ფასიან აგენტთა უფრო ფართო გამოყენებას და პროვოკატორთა „შეგზავნას“ ეგრეთ წოდებულ „ძირგამომთხრელ ორგანიზაციებში“ მამხილებელი მასალების შესაკრებად.

დემოგრაფია

ტოკიო. იაპონის დედაქალაქის მოსახლეობამ 1983 წლის 1 იანვრისათვის 11 მილიონ 683 ათას 120 მიაღწია. ამჟამად ტოკიო მეორე ადგილზეა მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობით შანხაის შემდეგ.

ტირანა. სტატისტიკური მონაცემებით, ალბანეთის მოსახლეობამ 2 მილიონ 800 ათასს მიაღწია. აქედან 51,3 პროცენტს მამაკაცები შეადგენენ, ხოლო 48,7 პროცენტს — ქალები. მოსახლეობის 65 პროცენტი სოფლად ცხოვრობს, 35 პროცენტი ქალაქად.

კოპენჰაგენი. დანიის მოსახლეობამ 1983 წლის 1 იანვრისათვის 5 მილიონ 116 ათას 464 მიაღწია.

სირია: რევოლუციის დასაცავად

ამ დღეებში სირიელმა ხალხმა სირიის რევოლუციის დღე აღნიშნა. „რევოლუცია რევოლუციაა არ არის, თუ მასში უშუალოდ არ ურევია მუშათა და გლეხთა ხელი. დაიცავით და განავითარეთ იგი ისე, როგორც თქვენ მიგაჩნიათ საჭიროდ, რამეთუ თქვენ ხალხი ხართ, თქვენ ჭეშმარიტი რევოლუციაა, ნამდვილი ძალაუფლება ხართ“. ეს სიტყვები ჰაფეზ ასადს, იმ არაბული ქვეყნის პრეზიდენტს ეკუთვნის, რომელმაც გაუძლო მძიმე ისტორიულ ხვედრს: ისრაელის გამუდმებულ აგრესიას, დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციულ გამოხდომებს, მათ მიერ წაქეზებულ არაბული ტერორისტულ-ფანატიკური რეაქციის თავდასხმებს.

მძიმე იყო სირიელთა წარსული, მძიმეა ეს ხვედრი დღესაც, ამის ნათელი დადასტურებაა ერთ დროს აყვავებული, დღეს კი ნანგრევებად ქცეული ქალაქი კუნეიტრა. 6 წელი ბატონობდნენ ამ ქალაქში ისრაელი აგრესორები, გოლანის მაღლობებზე ოკუპანტებმა 140 პატარა ქალაქი, სოფელი და დასახლებული პუნქტი დაარბიეს. კუნეიტრაში დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით სხვა ქვეყნების ჯარები დგას. ქალაქიდან სამ კილომეტრზე კი ისრაელები უკანონოდ აშენებენ ახალ დასახლებებს. მათ გოლანის მაღლობები თავისად მიაჩნიათ.

1967 წლის ისრაელის აგრესიის შემდეგ, რომლის შედეგად სირიას გოლანის მაღლობები წაგლიჯეს, სირიელი ხალხი გმუდმევით იბრძვის წართმეული ტერიტორიის დასაბრუნებლად, პალესტინელთა კანონიერი უფლებების აღსადგენად და ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად.

გოლანის მაღლობებზე სირიის საშშენებლო ორგანიზაციებმა უკვე აღადგინეს 5 სოფელი, „გვწამს, რომ გოლანის მაღლობები კვლავ სირიისა იქნებან!“ — განაცხადა კუნეიტრის მერის მოვალეობის შემსრულებელმა იასინ ალ ფაურმა.

შარშან ზაფხულში ისრაელის მიერ წამოწყებული მეხუთე აგრესიას ლიბანის დედაქალაქ ბეირუთისა და სამხრეთ ლიბანის ქალაქების ნგრევა, მშვიდობიანი მოსახლეობის — ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. ლიბანის გაზეთ „ას-საფირში“ გამოქვეყნებული სტატისტიკით, გასული წლის 4 ივლისიდან 15 აგვისტომდე ისრაელის აგრესიამ ლიბანში 4.011 კაცი შეიწირა, მათ შორის 3.375 მშვიდობიანი მცხოვრები იყო, დაღუპულთა 10,1 პროცენტი — სირიელები. დაძაბულობა ლიბანში გრძელდება. ხშირია სამხრეთ ლიბანში ბეყაას დაბლობზე დაბანაკებულ სირიის ჯარის ნაწილებთან ისრაელის ჯარების შეტაკება. აგრესორი განაგრძობს პალესტინელ ლტოლვილთა აწოოკებას, ანგარიშს უწყრიეს ლიბანელ პატრიოტებს, ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო მხარდაჭერითა და დაბმარებით სამხედრო პროვოკაციებს აწყობს სირიის წინააღმდეგ.

ისრაელის აგრესია ლიბანში მრავალ მიზანთან ერთად ითვალისწინებს ლიბანიდან არაბული ქვეყნების ლიგის მანდატით მყოფი სირიის ჯარის ნაწილების გაწყვეტას, სირიაზე ზემოქმედებას, რათა მან დათმოს პოზიციები და შეაგუოს იგი გოლანის მაღლობების დაკარგვას. აგრესორთა ვაროუდი არ გამართლდა. ლიბანში შეჭრა ისრაელისთვის სერიოზულ მორალურ-პოლიტიკურ კრახად იქცა, მაგრამ არც ამან შეაჩერა ისრაელი. იგი ოკეანისგაღმელი მოკავშირის წაქეზებით ცდილობს მორალური დამარცხება სამხედრო პროვოკაციების გზით აანაზღაუროს. ბეყაას დაბლობზე ჯარის ახალი ნაწილების გადაყვანა და სირიის ჯარის ნაწილების სისტემატური დაბომბვა ამის დამადასტურებელია.

ძვირი უჯდება სირიელ ხალხს შინაური და გარეშე რეაქციასთან გამკლავება. ქვეყნის ეროვნული შემოსავლის დიდი ნაწილი თავდაცვის საქმეს ხმარდება. ამიტომ ნელი ტემპით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა, პროფესიულ-ტექნიკური კადრების მომზადება, სოციალურ-კულტურული განვითარება. ძნელბედობის ქამს სირიის არაბთა რესპუბლიკას ძმური დახმარების ხელს უწვდის საბჭოთა ქვეყანა. 1957 წელს დამასკოში ხელი მოაწერეს სირია-საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებას. მას შემდეგ დღითი დღე ვითარდება ორი ქვეყნის ნაყოფიერი თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირის დახმარებით აგებული 35 სამრეწველო ობიექტი წარმატებით მოქმედებს. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიწოვებები წყლის რესურსების ათვისებისა და ენერგეტიკის სფეროში. ამის მკაფიო მაგალითია ევფრატის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ქვეყანას ელექტროენერგიის 70 პროცენტს აძლევს. საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება რიხიგზის ფართო ქსელი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებს ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ცენტრებს.

საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობაში ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მომზადებას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. 25 წლის ურთიერთობის მანძილზე ჩვენი ქვეყნის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში 34 ათასი კვალიფიციური კადრი მომზადდა. ბევრი საბჭოთა სპეციალისტი ეხმარება სირიას სახალხო მეურნეობის მშენებლობაში. მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიც არიან. 1980 წელს მოსკოვში ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ახალი ხელშეკრულების დადებამ განვითარების ახალი პერსპექტივები დასახა ეკონომიკისა და კულტურის დარგებში. ორი ქვეყნის კავშირურთიერთობის გაღრმავებას ხელს უწყობს საბჭოთა კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ხშირი შეხვედრები და კონსულტაციები. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის შემდეგ სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი ჩვენს რესპუბლიკასაც ეწვია. თბილისში ყოფნისას პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან საუბარში მან განაცხადა: „სირიასა და თქვენს რესპუბლიკას შორის უძველესი დროიდან არსებობს ისტორიული ურთიერთობა. ახლაც გვსურს გავდოთ კიდევ ერთი მეგობრობის ხიდი, რომელიც ჩვენს ქვეყანას თქვენთან დაკავშირებს“. ჰაფეზ ასადმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს სირიელი ხალხისადმი მხარდაჭერისათვის ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის მყარი პოზიცია ახლო აღმოსავლეთის საკითხში ერთხელ კიდევ დადასტურდა კრემლში ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელების არაბული ქვეყნების თვალსაჩინო მოღვაწეებთან შეხვედრის დროს. არაბთა დელეგაციის შემადგენლობაში სირიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჰ. ჰადამიც შეეიდოდა. საუბრის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, რომ უცვლელია პრინციპული კურსი, რომელსაც ახლო აღმოსავლეთის საკითხში საბჭოთა კავშირი ახორციელებს, იგი მუდამ უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს არაბი ხალხების სამართლიან საქმეს, მათს ბრძოლას ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობისათვის.

ბ. ჭიკაუშვილი.



მიწის მკვლევარი

პროფესორ გიორგი კონსტანტინეს ძე ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავის გამო

საქართველოს მიწის სავარგულების ნაყოფიერების ამაღლებას, კოლხეთის დაბლობის ნიადაგების შესწავლას და ხალხის სამსახურში ჩაყენებას მოახმარა თავისი შეგნებული ცხოვრება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა გიორგი ახვლედიანმა. იგი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე პრაქტიკულად შეუდგა ნიადაგმცოდნეობის მეცნიერულ შესწავლას. ახალგაზრდა სპეციალისტი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტროს „წყალპროექტის“ ტრესტში ნიადაგ-მელიორაციულ განყოფილებას. მისი უშუალო მონაწილეობით გამოკვლეულია საქართველოს ნიადაგური სფეროს ბევრი მელიორაციული ობიექტი (სამგორი, ტირიფონა, აჯამეთი, ალაზანი და სხვა).

ღვაწლმოსილი მეცნიერის მოღვაწეობაში საგანგებო ადგილი უჭირავს კოლხეთის დაბლობის ნიადაგების შესწავლ

დღის ფესტივალი სპარტაკიადა

VIII 83

იმის თაობაზე, თუ როგორ ემზადებიან ცხენოსნები და თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატები სსრ კავშირის ხალხთა VIII სახაფხულო სპარტაკიადისათვის, გაზეთი „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა ამ სახეობებში საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი რევაზ მანჯავიძე.

ცხენოსნობა ● თანამედროვე ხუთჭიდი

— ცენტრალიზებული მზადება სსრ კავშირის ხალხთა მერვე სახაფხულო სპარტაკიადისათვის 1982 წლის ბოლოს დავიწყეთ. საქართველოს ცხენოსანთა ნაკრების თბილისელმა, ოჩამჩირელმა, გუდაუთელმა, გულრიფშელმა, გალელმა და ზუგდიდელმა მხედრებმა საქართველოს სპორტკომიტეტის საცხენოსნო ბაზაზე რესპუბლიკის საუკეთესო ცხენებს მოუყარეს თავი. ნაკრების შემადგენლობაში არიან: სსრ კავშირის 1982 წლის ჩემპიონი დაბრკოლებათა გადალახვაში, გუდაუთელი ხარლამ სიმონია, 1982 წლის ახალგაზრდული ასპარეზობის ჩემპიონი, ოჩამჩირელი თამაზ ჯღარკავა, ამავე ასპარეზობის პრიზიორი, თბილისელი ბაგრატ მარკოზაშვილი, სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატი იუნონა კოკინა და სხვები, საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი და მწვრთნელი დაბრკოლებათა გადალახვაში, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი კირიაკ გაზიანიაშვილი, გაწვრთნაში გუნდს მ. კიკიანი ავარჯიშებს, ხამჯიდში — რ. მეხტვირიშვილი. ჩვენი რესპუბლიკის მხედრებს ყველაზე უკეთ დაბრკოლებათა გადალახვაში შეუძლიათ გამოსვლა. დიდი პრიზის გათამაშებაში ჩვენს გუნდს ხუთეულში ჩადგომა ძალუძს. თუ ხ. სიმონიას თავისი ცხენი „კასპი“ კარგ ფორმაში ეყოლა, მას საპრიზო ადგილის მოპოვება შეუძლია. ურიგოდ, ალბათ, არც თ. ჯღარკავა და ბ. მარკოზაშვილი იასპარეზებენ. ცხენის გამწვრთნელებს და სამჯიდელებს რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრას ვუგეგმავთ. საერთო შედეგით კი ვეცდებით წინა სპარტაკიადის მეშვიდე ადგილიდან უკეთეს ადგილზე გადანაცვლებას. აქვე იმ ძირითად საჭირბოროტო საკითხებს შევეხები, რომელთა მოგვარება შესაძლებელად გაუმჯობესებდა ჩვენში ცხენოსნობის მდგომარეობას. კარგი იქნება, თუ უფრო მეტს, თუნდაც იაფსა და მარტივ მოედანს შევიმაგებთ. ძალზე გვაფერხებს კარგი ცხენების ნაკლებობა. მაგალითისათვის, ჩვენი ნაკრების თერმეტი მხედრის 18 ცხენიდან მხოლოდ ერთი, „მარნეულია“ ჩვენს კულარის ცხენსაშენში გამოზრდილი.

თანამედროვე ხუთჭიდის გეოგრაფია საქართველოში ძალიან შეზღუდულია. მხოლოდ თბილისელ, და ისიც ორადორი სპორტსაზოგადოების „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ხუთჭიდელთა ხარჯზე კომპლექტდება რესპუბლიკის ნაკრები. „სპარტაკი“ უკვე კარგავს თავის ტრადიციებს ხუთჭიდში. წინა სპარტაკიადაზე ჩვენს გუნდს



სახეობათა სავიზიტო ბარათები

საქართველოში ცხენოსნობის განვითარების საქმეში ყველაზე მეტი წვლილი შეაქვთ აფხაზეთის სპორტულ ორგანიზაციებს, ცხაკაიას, ფოთის, ზუგდიდის, ჩოხატაურისა და თბილისის სპორტსმენებს. საქართველოს ნაკრებმა სსრ კავშირის პირველ სპარტაკიადაში (1956 წ.) მერვე ადგილი დაიკავა, მეორეში (1959) — მეათე, მესამეში (1963) — მეცხრე, მეოთხეში (1967) — მერვე, მეხუთეში (1971) — მეთორმეტე, მეექვსეში (1975) — მეთერთმეტე, მეშვიდეში (1979) — მეშვიდე ადგილი.

თანამედროვე ხუთჭიდში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში შესაბამისად ასეთი ადგილები დაიკავა: პირველში — მეშვიდე, მეორეში — მეხუთე, მესამეში — მეათე, მეოთხეში — მეთერთმეტე, მეხუთეში — გუნდს ადგილი არ მიკუთვნებია, მეექვსეში — მეათე, მეშვიდეში — მეექვსე ადგილი.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი ვაჟა ელოშვილი ავტომობილს მიხდობილობით მართავდა. და ალბათ, ყველაფერი რიგზე იქნებოდა, სამუშაო დროს — 14 საათსა და 15 წუთზე საკუთარ რომ არ მჯდარიყო. მისი სამუშაო ადგილიდან საკმაოდ შორს, გორგასალის ქუჩაზე, იგი დაეჯახა მოქალაქეს.

ავტოსაგზაო შემთხვევაში ვ. ელოშვილის ბრალის ხარისხი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული. მაგრამ ის, რომ სამუშაო დროს იგი ქალაქში დასეირნობდა, ისეთი ფაქტია, რომელმაც უნდა დაინტერესოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი.

წარმოუდგენელი რამ მოხდა: რუსთაველ ფასიანი სადგომიდან... გაიტაცეს ავტომობილი. სადგომიდან, რომელიც შემოღობილია, ჰყავს დარაჯი, რომლის ტერიტორია მთელი ღამე განათებულია.

როგორ შეიძლებოდა ეს მოხდარიყო? ამას ალბათ ჩვენს მკითხველს აუხსნის ავტომოტომოყვარეულთა რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭო, რომლის გამგებლობაშია ფასიანი სადგომი.

ისარაფილ გახტაძე მუშაობდა აჯარის მუსიკოს-ქორეოგრაფთა საზოგადოების საწარმოო კომბინატის ფოტოსალაწმეტო საამქროს ოსტატად. ეს სამუშაო სავსებით აძლევდა მას ხელს. რატომაც არა? ხელფასიც ჰქონდა და იმის შესაძლებლობაც, რომ მიეთვისებინა სახელმწიფო სახსრები მაქინაციების — ფიქციური დოკუმენტების შედგენის გზით. მარტო გასული წლის მეორე ნახევარში მან შეძლო „მიემატებინა“ თავისი ხელფასისათვის — უფრო სწორად კი მიეთვისებინა 1300 მანეთი. ეს დაადგინეს აჯარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა, რომლებმაც ი. ბახტაძე მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ალბათ, განიხილავს ამ შემთხვევას. გვინდა გვჯერდეს, რომ სამინისტროს მიერ მიღებული ღონისძიებები გამორიცხავს ანალოგიურ სამართალდარღვევებს. (საქინფორმი).

სასამართლო დარგიდან

მექრთამის მადა...

წყალტუბოს რკინიგზის სადგურის ახლად დანიშნულმა უფროსმა მურთაზ ბენიას ძე ცერცვაძემ „დაგეგმა“ ქრთამის აღება — თითოეულმა მოლარემ თვეში ასი მანეთი უნდა მომცესო. მის სამფლობელოში ცხრა მოლარე მუშაობს. მაშასადამე, სადგურის უფროსის შემოსავალი თვეში ცხრაასს მანეთს აღწევს. ცხრაასი მანეთი — ეგზმარიტად დიდი მადაა! „გეგმის“ განხორციელება სადგურის უფროსმა მოლარე რუსუდან კინწურაშვილს დაავალა. მექრთამე-გამომძალველის ეს გაუგონარი ცინიზმი, სამწუხაროდ, დიდ წინააღმდეგობას არ შეხვედრია. რ. კინწურაშვილმა შეკრიბა მოლარეები და მათ კოლექტიურად „განიხილეს“ ქრთამის მიცემის საკითხი: თვეში ხუთ-ხუთ თუმანს დადგჯერდესო, უთხრეს შუამავალს...

თითქმის სამ თვეს მიმდინარეობდა ვაჭრობა სადგურის უფროსსა და მოლარეებს შორის: უფროსი ას მანეთს მოითხოვდა. მოლარეები 50 მანეთს ჰპირდებოდნენ. ვერა და ვერ შეთანხმდნენ. სადგურის უფროსი დაემუქრა მათ: თუ იქნება ასი მანეთი, თუ არა და, ნაკლებს არ მივიღებ, მაგრამ მერე ვნახოთ, როგორ იმუშავებთო!

შეუთანხმებლობის გამო დაძაბულად და ნერვულად მუშაობდნენ მოლარეები. აი რას კვითხულობთ სამტრედიის ტრანსპორტის პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის ზ. ლორიას მიერ მოკვლეულ მასალებში:

„რ. გ. კინწურაშვილმა თითა მისთვის ესოდენ უკადრესი საქციელი, მიიღო გამომძალველ ცერცვაძის დავალება. თავის მხრივ მოლარეებმა ო. გურეშიძემ, დ. ჩხაიძემ და გამოიჩინეს სიფხიზლე, პრინციპულობა და, მიუხედავად იმისა, რომ ცერცვაძე მოლარეებისაგან ქრთამს დიდ თანხას ითხოვდა თ. გურეშიძემ სათანადო ორგანოებს ამის შესახებ მოგვიანებით აცნობა“.

ასეთი მასალებისაგან შედგება სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ორ ტომს შეიცავს. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ იგი თავის გამსვლელ სხდომაზე ქალაქ წყალტუბოში განიხილა. დიდძალი ხალხი დაესწრო მას. განსასჯელის სკამზე იჯდა მ. ცერცვაძე, რომელიც ამხილეს ქრთამის გამოძალვის მცდელობაში.

სასამართლო კოლეგიამ წინასწარი გამოძიებისა და სამსჯავროო გამოძიების მასალების შეჯერების საფუძველზე მ. ცერცვაძეს მიუსაჯა 10 წლის თავისუფლების აღკვეთა, პირადი ქონების კონფისკაციით სასჯელს მოიხდით გაძლიერებული რეჟიმის შრომგასწორების კოლონიაში, ხოლო სასჯელს მოხდის შემდეგ სამი წლით ჩამოერთვა რკინიგზის ტრანსპორტის ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ სამუშაოთა შესრულების უფლება.

კოლეგიის მიერ გამოტანილ განჩინებაში აღნიშნულია, რომ მოწმე ი. ჯაგაევმა სამსჯავროო სხდომაზე შეაცვალა წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება და შეგნებულად იცრუა მ. ცერცვაძის სასარგებლოდ, რისთვისაც მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მასალები გამოძიებისათვის გადაეგზავნა რესპუბლიკის პროკურატურას.

წყალტუბოში მომხდარი ქრთამის აღების ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ კიდევ განჩინებები და წარდგინება რეალირებისათვის გაუგზავნა წყალტუბოს რკინიგზის სადგურისა და სამტრედიის რკინიგზის განყოფილების ადმინისტრაციებს, ამერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტს.

ასეთია მექრთამისა და მის ხელშემწყობთა სამარცხვინო საქმის ბოლო.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის ბიურომ და ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა სათანადო ღონისძიებები დასახეს. პრინციპულად განიხილეს საკითხი რკინიგზის წყალტუბოს სადგურში მომხდარი ფაქტის შესახებ.

ს. ყურაშვილი.

ჭადრაკის დაფებთან

მოსკოვში გაიმართა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — ა. ბელიავსკისა და გ. კასპაროვის — მეოთხედფინალური მატჩის მეხუთე პარტია. ამჯერად კასპაროვი თამაშობდა თეთრებით. 39-ე სვლაზე ბელიავსკიმ დამარცხებულად ცნო თავი და კასპაროვი დაწინაურდა — 3:2, რეგლამენტით მომდევნო, მეექვსე პარტია დღეს უნდა გაიმართოს.

ტალინში გრძელდება პაულ კერესის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება. თორმეტი ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ვაპანანი — 8 ქულა (1 გადადებული), ტალი — 7 (1), ოლი — 7, იანსა (ჩეხოსლოვაკია) — 6,5 (1), ფსახისი — 6,5, პეტროსიანი — 6 (1).

სატურნირო ორბიტა

ფიგურული ციგურაობა. ჰელსინკში გათამაშდა მსოფლიო ჩემპიონატის მედლების პირველი კომპლექტი. წყვილთა ციგურაობაში ოქროს მედლებს დაეუფლნენ ჩემპიონატის დებიუტანტები, ლენინგრადელი სპორტსმენები ელენე ვალოვა და ოლეგ ვასილიევი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ შარშანდელი ჩემპიონები სანინა ბეკი და ტასილო ტირბახი (გდრ), მესამეზე — ბარბარა ანდერპილი და პოლ მარტინი (კანადა), მოსკოველმა სპორტსმენებმა ვერონიკა პერშინამ და მარატ აკბაროვმა, აგრეთვე მარინე პეტროვამ და სტანისლავ ლეონოვიჩმა შესაბამისად მეხუთე-მეექვსე ადგილები დაიკავეს.

ხელბურთი. თბილისში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მატჩები უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის (თამაშდება VII–XII ადგილები), იმისათვის, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა უმაღლეს ლიგაში ადგილი განმტკიცოს, რაც შეიძლება შეუპოვრად და თავდაუზოგავად უნდა ითამაშოს. თბილისელმა ხელბურთელებმა პირველი მატჩი რიგის „ცელტნიეკთან“ გამართეს და გიმარჯვეს ანგარიშით 33:28. მეორე დღეს მათი მეტოქე იყო კიევის აკ.

ჩოგბურთი. გაიმართა დევისის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. გთავაზობთ შედეგებს: არგენტინა–აშშ — 3:2. პარაგვაი-ჩეხოსლოვაკია — 3:2, ავსტრალია–ინგლისი, — 4:1, რუმინეთი-ჩილე — 5:0, შვეიცარია-ნორვეგია — 5:0, ახალი ზელანდია-დანია — 5:0, იტალია-ირლანდია — 3:2, სსრ კავშირი-საფრანგეთი — 1:4, მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: საფრანგეთი — პარაგვაი, ავსტრალია — რუმინეთი, ახალი ზელანდია — შვეიცია, არგენტინა — იტალია. ამ ეტაპის შეხვედრები გაიმართება 8-10 ივლისს.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

ორშაბათი, 14 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალტიის ზღვა“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შვიდ ბორცვზე“. 11.00 — „ეკრანული სახეები“ — ვ. ბასოვი (განმეორებით). 11.40 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მიიღეთ გამოწვევა, ხენიორებო!“ პირველი და მეორე სერია. 16.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.50 — მოსწავლეთათვის — სამართლისმცოდნეობა. 17.20 — „ჯადოსნური საღებავი“. 18.05 — კინონარკვევი. 18.15 — „კარლ მარქსის მოძღვრება უძლეველია“. 18.45 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ“ (გადაცემა ლენინგრადიდან). 19.15 — „ჩვიდმეტი ბირიოადი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „კარლ მარქსი და რევოლუციური რუსეთი“ (მ.). 20.30 — „მოამბე“. 21.00 — „საერთაშორისო დღიური“. 21.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — სპორტული პროგრამა. 1) „ვიტალი დარასელიას გახსენება“, 2) „ევროპის საკალათბურთო ტურნირები“. 3) ხელბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „ბურევესტნიკი“ — კრასნოდარის „სკიფი“. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოდგომის დღის ქრონიკა“. 17.55 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 18.25 — მხატვრული ფილმი „სანტიმენტალური რომანი“. 20.00 — განცხადებები.

სამშაბათი, 15 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბენერატორი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — კონერტი. 11.00 — „ჩვენი სტუმარია მინიატიურების თეატრი“ (გადმეორებით). 11.55 — მხატვრული ფილმი „სანტიმენტალური რომანი“. 13.30 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოდგომის მინდორი“. 16.30 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.00 — განცხადებები. 17.05 — დოკუმენტური ფილმი „ადამიანისათვის“. 17.55 — მოსწავლეთათვის — „მე კომკავშირელი ვარ“. 18.20 — „ხალხური ფოლკლორის მოამაგენი“ — რაფიელ ერთისთავი. 19.10 — აჯემუშკაის ეპოპეა — „უკვდავი გარნიზონი“ (გადმეორებით). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“, 20.30 — მუსიკალური გადაცემა „კვარტეტის ისტორიიდან“. 21.15 — „მოქალაქე, სოზოგადოება, კანონი“. 21.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჩექმებიანი ძაღლი“. 22.00 — „ვრემია (მ.). 22.35 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“ — მხატვრული ფილმი „მეორე გაზაფხული“. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.50 — მოსწავლეთათვის — რადიოტექნიკა. 18.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მესხური ღილინი“. 18.50 — მასწავლებლის საათი — მათემატიკა. 19.35 — მხატვრული ფილმი „წინდაუზედავი ქორწინება“.

ოთხშაბათი, 16 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაწყობილების სასახარო“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტყიანი ვოლგისპირეთი“. 11.00 — „ეკრნისაკი“ — პორტრეტის ხელოვნება (განმეორებით). 11.30 — მხატვრული ფილმი „მეორე გაზაფხული“. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საშა, ალექსანდრე იაკობის ძე“. 16.30 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.00 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი — „ეს სიმპათიური მგლები“. 18.10 — მოსწავლეთათვის — „ლიტერატურული ექსკურსია“. 18.50 — განცხადებები. 18.55 — დოკუმენტური ფილმი „ოქროს შემოდგომაზე მოხვალ“. 19.15 — „კომუნისტები“ — „ხეფმმძიდანელის ავტორიტეტი“ (ლენტების რაინი). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ზღაპრის გუდა“. 20.45 — მ. ჯაკახიშვილი „თეთრი კურდღელი“ — სატელევიზიო სპექტაკლი (საქართველოს ტელევიზიის დადგმა). 21.50 — კინონარკვევი. 22.00 — „ვრემია (მ.). 22.35 — უკრავს საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრი. 23.15 — ევროპის ჭვეყნების ჩემპიონთა თასი ფეხბურთში. მეოთხედ ფინალი. გფრ-ის „ჰამბურგი“ — კიევის „დინამო“ (გადაცემა გფრ-იდან). შესვენების დროს (24.00) — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლია გაკვეთილი“. 17.50 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 18.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ციმბირი, წელიწადის დრონი“. 18.45 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია. 19.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სიამით იცხოვრეთ“. 20.40 — განცხადებები.

ხუთშაბათი, 17 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საკვები კონვეიერზე“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფეტვიანელი კონფლიქტში“. 11.00 — „ხალხური შემოქმედება“ — ჩხოროწყუს მუსიკალური ფოლკლორი. 12.10 — მხატვრული ფილმი „წინდაუზედავი ქორწინება“. 13.25 — ბიტერიენტთათვის ბიოლოგია. 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დავალება“. 16.30 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.00 — განცხადებები. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.30—მოსწავლეთათვის — კინეტრტი. 17.50 — „შრომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი. 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ — „შრომა, საზოგადოება, ადამიანი“ (მ.). 19.30 — „ყოველ ნახატში მზეა“ (მ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ქართული კინოს ისტორიიდან“ — მხატვრული ფილმი „ეთილი ადამიანები“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „გულშემატკივართა კლუბი“ (ფეხბურთის უნივერსიტეტი. იტალია-ბრაზილიის მატჩის შესახებ). 00.20 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ენისეის იუწვები“. 17.40 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა. 18.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 18.35 — მასწავლებლის საათი — ფიზიკა. 19.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანტიკვარი“.

პარასკევი, 18 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იზატ კლიჩოვი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პირადი



ციისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ლი ფილმი „ბალიშ შეშენილი“. 11.00 — „ბავშვთა ეკრანი“. 11.45 — „ბალეტი“. 12.00 — „ბალეტ ბალეტ“. 12.30 — „ბალეტ ბალეტ“. 13.00 — „ბალეტ ბალეტ“. 13.30 — „ბალეტ ბალეტ“. 14.00 — „ბალეტ ბალეტ“. 14.30 — „ბალეტ ბალეტ“. 15.00 — „ბალეტ ბალეტ“. 15.30 — „ბალეტ ბალეტ“. 16.00 — „ბალეტ ბალეტ“. 16.30 — „ბალეტ ბალეტ“. 17.00 — „ბალეტ ბალეტ“. 17.30 — „ბალეტ ბალეტ“. 18.00 — „ბალეტ ბალეტ“. 18.30 — „ბალეტ ბალეტ“. 19.00 — „ბალეტ ბალეტ“. 19.30 — „ბალეტ ბალეტ“. 20.00 — „ბალეტ ბალეტ“. 20.30 — „ბალეტ ბალეტ“. 21.00 — „ბალეტ ბალეტ“. 21.30 — „ბალეტ ბალეტ“. 22.00 — „ბალეტ ბალეტ“. 22.30 — „ბალეტ ბალეტ“. 23.00 — „ბალეტ ბალეტ“. 23.30 — „ბალეტ ბალეტ“. 24.00 — „ბალეტ ბალეტ“.

ორშაბათი, 14 მარტი

6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 6.50 — „სოფლის დილა“. 7.40 — „პიკის საათი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 8.15 — „პიკის საათი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა (გაგრძელება). 9.25 — „შეგვეზმიანეთ“. ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. 11.15 — „კ. მარქსის დაბადების 165 წლისთავისათვის“. „კ. მარქსი თანამედროვეთა მოგონებებში“. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.15 — მუსიკალური სასწავლო (მ.). 13.30 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. ფანჯიკიძე, „მეშვიდე ცა“. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „დიდი სიცოცხლის ერთი დღე“. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს“. რადიონარკვევი „ფართო გზა პნევმოტრასას“. 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.40 — „ადამიანი და კანონი“. რადიოჟურნალი“ (მ.). 20.30 — „თეატრი მიკროფონთან“. „პრემიერა“. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი. 23.30 — მღერის ნ. ანდღულაძე. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

სამშაბათი, 15 მარტი

6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 6.50 — „სოფლის დილა“. 7.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“. 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული ხალხური სიმღერები. 9.37 — რუსული რესპუბლიკური ლიტერატურული კითხვა. 10.05 — „ბალანსი“. ეკონომიკური ფელეტონი. 10.20 — „ბალეტ ბალეტ“. 10.40 — „ბალეტ ბალეტ“. 11.00 — „ბალეტ ბალეტ“. 11.30 — „ბალეტ ბალეტ“. 12.00 — „ბალეტ ბალეტ“. 12.30 — „ბალეტ ბალეტ“. 13.00 — „ბალეტ ბალეტ“. 13.30 — „ბალეტ ბალეტ“. 14.00 — „ბალეტ ბალეტ“. 14.30 — „ბალეტ ბალეტ“. 15.00 — „ბალეტ ბალეტ“. 15.30 — „ბალეტ ბალეტ“. 16.00 — „ბალეტ ბალეტ“. 16.30 — „ბალეტ ბალეტ“. 17.00 — „ბალეტ ბალეტ“. 17.30 — „ბალეტ ბალეტ“. 18.00 — „ბალეტ ბალეტ“. 18.30 — „ბალეტ ბალეტ“. 19.00 — „ბალეტ ბალეტ“. 19.30 — „ბალეტ ბალეტ“. 20.00 — „ბალეტ ბალეტ“. 20.30 — „ბალეტ ბალეტ“. 21.00 — „ბალეტ ბალეტ“. 21.30 — „ბალეტ ბალეტ“. 22.00 — „ბალეტ ბალეტ“. 22.30 — „ბალეტ ბალეტ“. 23.00 — „ბალეტ ბალეტ“. 23.30 — „ბალეტ ბალეტ“. 24.00 — „ბალეტ ბალეტ“.

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ქალაქური პანგები. 11.15 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „ფოთის ექსპერიმენტი“. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.10 — „ნაშუადღევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.30 — „ლიტერატურული კითხვა“. გ. ფანჯიკიძე, „მეშვიდე ცა“. 14.05 — კონცერტი ა. ბალანჩივაძის ნაწარმოებებიდან. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — ეკრანის მელოდიები. 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“. 18.00 — თბილისის ახალი ამბები. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00—„ბულს ემღერება“. მუსიკალური რადიოკომპოზიცია. 19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მ.). 20.30 — „თბილისი-ბაქო-ერევანი“. რადიოჟურნალი (ბაქოდან). 21.00 — ძილისპირული. 21.10 — რუსული ენის შემსწავლელთა დასახმარებლად. 21.30 — ბ. ლისიციანის კონცერტი. 21.45 — „საერთაშორისო დღიური“ (მ.). 22.00 — მსუბუქი სორკესტრი პიესები. 22.15 — „ახალი წიგნები“ — გ. ჯოხაძე, „სიმღერა სიყვარულზე“. 23.30 — ო. თაქთაქიშვილი. ვოკალური ციკლი „გურული სიმღერები“. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ხუთშაბათი, 17 მარტი

6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.50 — „სოფლის დილა“. 7.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“. 8.00 — გაზეთ „პრავდის მიმოხილვა“ (მ.). 8.37 — „სპარტაკი“ — მოსკოვის „დინამო“. შესვენებისას — მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ვაჟები. 22.00 — „ვრემია“. 23.10 — „მაქს ლინდერის კამპანიაში“. ფრანგული მხატვრული ფილმი. 00.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „უმოაჯირო კიბე“. 9.35 და 10.35 — ისტორია. IV კლასი. 10.05 და 13.35 — ინგლისური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ასტრონომია. 11.35 და 12.35 — ისტორია. VII კლასი. 12.05 — ჩვენი ბაღი. 13.05 — ზოგადი ბიოლოგია. IX კლასი. 14.05 — ი. ბაბელი. ნაწარმოებთა კვალდაკვალ. 15.00 — ტელევარკვევი „პურის გაკვეთილები“. 15.45 — ს. პროკოფიევი. 16.30 — ახალი ამბები. 19.40 — საერთაშორისო შეჯიბრება წყალტბომაში. 20.10 — მოგზაურთა კლუბი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 22.00 — „ვრემია“. 23.15 — სსრ კავშირის თასი ფეხბურთში. მეოთხედფინალი.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხელი გამომიწოდე, ამხანაგო!“ 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბრიგადის დაბადების დღე“. 11.00—„ოცდაბუთი წელი სცენაზე“ — ნოდარ ანდღულაძე (განმეორებით). 12.00 — მხატვრული ფილმი „ცისფერი ყინული“. 13.10 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვახ!“. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მესხური ღილინი“. 16.15 — ტელეკურსელთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — მოსწავლეთათვის — „ხალხური შემოქმედება“ — სიმღერის შესწავლა („მეგრული სუფრული“). 11.55 — გადაცემა „ვისაც სახელი აქ დარჩენია“ — შოთა მანაგაძე (განმეორებით). 13.15 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.20 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხრეთის ალაზანი“. „ალაზანი სადარაჯოზე“. „სატელევიზიო ჟურნალი. 14.00 — „ბავშვების კარი“ — „ჩვენი სტუმარია სომხეთის ტელევიზია“. 15.35 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 15.45 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზღარბი“ (მ.). 16.10 — „ბუნების კარი“. 16.55 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 17.00 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი. 17.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი. 18.20 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 18.25 — მოსწავლეთათვის — გადაცემა „ლიხს იქით და ლიხს აქეთ“. 18.50 — „კინოფიშა“. 19.15 — მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის ი. ეუკოვის საუბარი (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 21.00 — სპორტული პროგრამა (მ